



ლიტერატურული მესხეთი

№1 (193)
იანვარი
2015 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მენეჯერია ნელი

„LITERATURULI MESKHETI“

„ЛИТЕРАТУРЛИ МЕСХЕТИ“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არაერთი რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელი ყოფილა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, – უნივერსიტეტს ყოველთვის უჩვენებია ინტელექტუალური და ორგანიზატორული მომზადების

კარაძე – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, მაკა ომიადე – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის პროგრამის სწავლების ხელმძღვანელი, ზაზა მელიქიძე – ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გიორგი კობახიძე – ქ. ახალციხის მერი.

მშობლიური ენა სომხურია, პოტენციურად, არაჩვეულებრივი კადრები იქნებიან“. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, დაიწყოს მუშაობა ბილინგვური სწავლებისთვის საჭირო წიგნებზე, რომლის გამოცემის გამოცდილებაც დიდი ხანია აქვს ჩვენს უნივერსიტეტს. რაც შეეხება პედაგოგთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა მერაბ ბერიძემ უპასუხა: „უნდა გაგრძელდეს სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა. ასეთი შეხვედრები ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან სხვაგვარად წარმოიქმნება ბევრი რამ. მინდა გითხრათ, რომ თქვენს მიერ წაკითხულ მოხსენებებს გამოვცემთ კრებულის სახით. ასევე დამზადდება სერტიფიკატებიც. არც ჯავახეთში სტუდენტთა პრაქტიკებზე წასვლაა შეუძლებელი. მაგლობა მინდა ვუთხრა ყველას მოზრდებისთვის. ასევე მაგლობას ვუხადი საქართველოს პრეზიდენტის ფონდს, რომელმაც ფინანსური დახმარება გაგვინია“.



სტუმრებმა მაგლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ მერაბ ბერიძეს, ასევე, კონფერენციის ორგანიზატორებს კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის და უსურვეს წარმატებები. ზაქარია ქუცნაშვილი: „მონაცემები თქვენი მრავალწლიანი

სათანადო დონე. ამჟამად იგი ერთ-ერთი გამორჩეული, აკადემიური და სახელმწიფოებრივი პროექტების უზალოდ შემსრულებელი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. აქ განსაკუთრებით პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და ახალი პროგრამების შექმნა. არსებობს დაწყებითი განათლების საბაკალავრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო აკრედიტებული პროგრამები. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მზადდება ბილინგვური განათლების მასწავლებელთა სამაგისტრო პროგრამა და სკოლამდელი განათლების პროფესიული კურსები.

უნივერსიტეტი, როგორც დაკისრებულ მისიას წარმატებით ბაზრითა თაჰვი



მოღვაწეობისა, იმდენად პოზიტიური, იმდენად სამაგალითოა, რომ შეიძლება სამოდლოდ გამოვიყენოთ საქართველოს სხვა პრობლემურ რეგიონებში“.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტის წარმომადგენლების ინიციატივით, პედაგოგებმა ახალციხის ისტორიული ციხე მოინახულეს და კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ვერიკო მოღვაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ განათლების სფეროში, მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზო და უმაღლეს განათლებაში ჩართული პედაგოგების დაახლოებას, გამოცდილების გაზიარებას, პრობლემების ერთობლივ განხილვას და მათი გადაჭრის გზების მოძიებას, სკოლის პედაგოგთა უშუალო გამოცდილებას; მათ მიერ დასმული პრობლემები, თითოეული სკოლის სპეციფიკა, ადეკვატურად უნდა აისახოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში.

ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება უნივერსიტეტისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანამშრომელთა ნახალობა. დაგეგმილია, რომ რეგიონული უნივერსიტეტები, ამ შემთხვევაში, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, გახდეს ცენტრი პედაგოგთა პროფესიული მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით“. – აღნიშნა გიორგი მაჩაბელი.

„სამინისტროს მომავალი წლის გეგმაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება უნივერსიტეტისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანამშრომელთა ნახალობა. დაგეგმილია, რომ რეგიონული უნივერსიტეტები, ამ შემთხვევაში, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, გახდეს ცენტრი პედაგოგთა პროფესიული მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით“.

– „თუ საუნივერსიტეტო პროგრამებში სათანადოდ არ აისახა თანამედროვე საქართველოს სკოლის პრობლემატიკა, თავისებურებები, თუ სკოლის პროგრამა და მორეგულირება საუნივერსიტეტო განათლებასთან, საქართველოში კიდევ დიდხანს იდგება კვალიფიციური პედაგოგიური კადრების პრობლემა“, – მიაჩნია უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს.

შემდეგ კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა სექციების მიხედვით. შემაჯავებელი სხდომა 27 დეკემბერს გაიმართა. პავლე ზაზაძის საკონფერენციო დარბაზში შეკრებულ საზოგადოებას მიესალმა ბატონი მერაბ ბერიძე და კონფერენციის მონაწილეებს წარმატებული მუშაობა უსურვა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდა – გასული წლის 26 - 27 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩატარებულიყო პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – „განათლების თანამედროვე პრობლემები და პერსპექტივები“. კონფერენცია ფინანსურად უზრუნველყო პრეზიდენტის ფონდმა. მასში მონაწილეობა მიიღეს სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალმა ექვსივე მუნიციპალიტეტის, ამავე დროს, დმანისის, ბოლნისის, დედოფლისწყაროს, წალკის ქართული, სომხური, რუსული და აზერბაიჯანულენოვანი სკოლის პედაგოგებმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა, განათლების მინისტრის მკვლევარებმა და მოწვეული სტუმრების რანგში – რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა, თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა. თითოეული მონაწილეს საშუალება ჰქონდა, გაეზიარებინა გამოცდილება, გარკვეულიყო პრობლემებში და, რაც მთავარია, დაესახათ თანამშრომლობის პერსპექტივები.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა. ანა ბაბლუანი – საგნის სწავლების მეთოდის სექციის თავმჯდომარე: „რაც შეეხება თემებს, ყველა საინტერესო იყო. მაგლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომ მოგვცა შესანიშნავი შანსი, მიგველო მონაწილეობა ამ არაჩვეულებრივ კონფერენციაში“.

„... თავისუფალი ნება ღვთისგან ჩვენთვის მონიჭებული დიდი საბოძარია. უფალმა არ შეურაცხყო პიროვნების ღირსება, არ აქცია იგი მისი სურვილის უბრალო აღმსრულებლად, არამედ მისცა უფლება არჩევანისა. ამიტომაც ეს ცოდვები ღვთის გმობად სახელდება და მათგან განთავისუფლება მხოლოდ ღოცვით, მარტო და ეკლესიური ცხოვრებით შეიძლება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. დღეს ისეთი ყოფა არა იმას, რაც სათნოა ქრისტესათვის (ფილ. 2,4). სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრუნება, – ჩვეულებად, გულგრილობა, – წესად, უზნეობა და თავაშვებულობა, – მისაბაძად; ცილისწამება და ძალადობა, – ყოველდღიურ მოვლენად; ანუ, ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება. მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება...“

შემდეგ განიხილეს თითოეული მონაწილის მიერ წარმოდგენილი თემების მნიშვნელობა და აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი თემები გამოირჩევიან აქტუალობით, დასმული პრობლემებითა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებით. წარმოდგენილი იყო თვალსაჩინოებებიც. შეფასებების დროს, გამოითქვა მოსაზრება, უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კონფერენციაზე გამოთქმული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზებზე. კონფერენციამ აჩვენა სკოლებსა და უნივერსიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. დაისვა საკითხი – კონფერენციის მონაწილეთათვის დამზადდეს სერტიფიკატები და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ჯავახეთში, ერთთვიან პრაქტიკებზე, სტუდენტების გაგზავნა. კონფერენციის მსვლელობისას გაიმართა დისკუსია ბილინგვურ სწავლებასთან დაკავშირებით.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.

კონფერენციის მუშაობა შეაფასეს სექციის ხელმძღვანელებმა.



სიური ლაფარი

(დასასრული. დასაწყისი წინა ნომერში)

კონსტანტინეპოლში ახლად დაბრუნებული მოძღვარმა, მცირე ხნის შესვენების შემდეგ, გაბედა და ხელახლა მივიდა ჰარუხანიანთან. აღნიშნულის შესახებ ალფონს ხითარიშვილი წერს: „ვისაც დიდი საქმის დანეშება უნდა და უმწოდ არის, მას, ვერცერთი წინააღმდეგი მოვლენა ვერ შეაფერხებს, ამიტომაც იყო, რომ მ. პ. ხარისჭირაშვილი - ჩუმი და მომთმენე კაცი, რომელსაც ახსოვდა პატრიარქის ცივი სიტყვა: „ვანახოთ“. თუმცა, იცოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე, მაინც არ დაერიდა, მოვიდა და ერთხელ კიდევ შეეცადა საქმის განწყობას. საკვირველად, ჰარუხანიანი ერთობ გამოცხადდა და პირბადე ახდელი დაუხვდა. მ. პეტრეს ისე აგრძობინა, ვითომც არც კი ენახოს და მის მიერ მოხსენებულ საქმეზე თავი ერთობ შორს დაიჭირა. ამდენსაც არ მოელოდა ეს უბედური მგზავრი, თვის გულწრფელი ძალზედ გაკვირდა. საგონებელს მიეცა; მაგრამ ვერაფერი ვერ აეხსნა ჰარუხანიანის ამ მსგავსი საქციელით; ამისგან უარესს უკანასკნელის ერის კაცზეც ვერ წარმოიდგენდა. ასეთი უდიერების მიზეზი, აღნიშნავს ივანე გვარამაძე, ის იყო, რომ მეთაურობა თვითონ ჰარუხანიანს სურდაო; მაგრამ მ. პეტრე ფიქრობდა, ამნაირი მისი ბატონობა ჩვენს საქართველოს არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა... ამიტომაც ნელ-ნელა უკან დაიხია, თუმც მიმოსვლა მასთან არ შეუწყვეტია. ფიქრობდა და გულის საკურთხეველში ზრდიდა თავის ზეაზრის, სულსკვეთების განხორციელებას სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰარუხანიანი განათლებული და გამჭრიახი ადამიანი იყო, კარგად ხედავდა, რომ მამა პეტრე მის აზრს მიუხვდა, ამისთვის მტრულად დაუწყო მოპყრობა. ღრმად მორწმუნე და მტკიცე ხასიათის მოძღვარმა იმედი არ გადაიწყვიტა; მალე მოძებნა ახალი საშუალება, დაუახლოვდა სხვადასხვა კათოლიკე ლათინ მღვდლებს, რომელთაც რჩევას სთხოვდა. მათ თანაუგრძნეს და პატივით მოეპყრნენ. მალე გაეცნო თვით რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენელს - მთავარ ეპისკოპოსს, უფალს ბრუნონის, რომელსაც დაწვრილებით გაუზიარა თავისი გულის ტკივილი. ამ ეპისკოპოსმა, რომლის სახელიც მარადის კეთილ სახსენებლად დარჩა მონასტერში, რიგის გარეთი და წრფელი კაცთმოყვარეობა უჩვენა; მოუწონა აზრი, გაამხნევა საწყალი მწირი და მალეც, მკვიდრი სამსახური მისცა მონაწილეობის დათა მონასტერში, სადაც, ჩვენი თავდავინებულად ადამიანი, ამ დღის შემდეგ, ბინას და საზრდოს პოულობდა არამარტო თავისთვის, არამედ თავის პირველ მონაწილეთათვისაც. ესენი იყვნენ ცნობილი სიმონ (ალფონს) ხითარიშვილი, ივანე გვარამაძე, იოანე ნებიერიძე და სტეფანე გიორგიძე - ახალციხელები.

მისი უსამღველოესი ეპისკოპოზი ბრუნონი - ვკითხულობთ საგანის არქივში, - არ დასჯერებულა მამა პეტრესთვის განეულ სამსახურს და მალე უცნობებია რომისთვის მისი საქმის გარემოება. პასუხი რომს არ დაუგვიანებია და 1859 წლის 7 მაისს ნებართვაც მიუღიათ ქართული საზოგადოების შექმნის თაობაზე.

აღნიშნული ნებართვის სისრულეში მოსაყვანად საჭირო გამხდარა, პ. ხარისჭირაშვილს ჰქონდა კერძო ბინა, საზოგადოების შესაქმნელად, ჰყოლოდა ხალხი და ჰქონდა ასევე წესდება. თუმცა, ამ დროს, ქართველი მოძღვარი ცხოვრების მხრივ უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ საკუთარი ბინის შესაძენად, შესაძლებლობა მაინც არ ჰქონდა. დღიურად გამოდიოდა. მოუხედავად ამისა, რაცინდ ცუდ პირობებში ყოფილიყო, ეს ენერგიით სავსე და გამჭრიახი ადამიანი, მარადის საქმეს შესცქეროდა. იმედი ჰქონდა, ღმერთი არ გასწირავდა. და ეს ასეც მოხდა. მამა პეტრეს მოუძებნია ადგილი, რომელიც მისთვის ერთ ქველმოქმედს შეუთავაზებია ქალაქის განაპირას, ფერიქოში (ანგელოზთა სოფელი). ჯერ-ჯერობით მეტიც არ უნდოდა: 300 ფრანკის შეძლება ჰქონია და დაუყოვნებლივ ამ მიწაზე პატარა სადგურისა და ეკლესიის შენება დაუწყია. რასაკვირველია, ამ თანხით საძირკველსაც ვერ ჩაყრიდა, რომ ქველმოქმედთ თანაგრძობა არ აღმოეჩინათ. მრავალთა ყურადღება მიიპყრო ამ კაცის ცხოვრებამ - განაგრძობს ალფონს ხითარიშვილი, - ყველამ მისი დიადი აზრი თავისად გაიხადა. მამა პეტრე, რიგის გარეთ ეკონომისტიც ყოფილა, თვითონვე ხელმძღვანელობდა მუშებს, მათთან მუშაობდა, აგულიანებდა, რათა დრო არ დაკარგულიყო და ხარჯიც ბევრი არ წასულიყო. შენობა დღითი დღე მატულობდა. ერთი წლის განმავლობაში

კიდევ დამთავრდა. პირველ მონაწილებს უკვე ახლებიც დამატებია: ეგნატე (ივანე) ეს(ქ) ხარისჭირაშვილი, იოსებ მამუკაშვილი, მიხეილ ხითარიშვილი და ნიკოლოზ ბეთანოვი (ფუქე-გვარი - ბეთანიშვილი). როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ: ახლა შეეძლო ამ ადამიანს მოსვენებით შესდგომოდა თავისი მომავალი საზოგადოების წეს-წყობილების შემუშავებას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას მიღწეული ვერ დააკმაყოფილებ-



ნათედკვადმდებელი

და, რადგან მისი მიზანი - გაეხსნა ქართული სკოლა და სტამბა სამშობლოს მონყვეტილი ქართველებისთვის, ვერ კიდევ შეუსრულებული რჩებოდა. თუმცა, მიზნის მიღწევა არცთუ შორეული ოცნება აღმოჩნდა, რადგან, მან, 1865 წელს მიიღო კონსტანტინეპოლში ქართული სკოლის გახსნის ნებართვა და ქალაქის ქართველობას აუწყა ქართული სკოლის გახსნა, რომელშიც სწავლობდა 60 ყმაწვილი, მათ შორის, საქართველოდან გატაცებული და გაყიდული 30 ბავშვი...

ამის შემდეგ მალე დაიწყო მამათა და დედათა მონასტრების მშენებლობაც. როგორც ცნობილია, ბერ-მონაზვნები, უმეტესად, მესხეთიდან - ერთმანეთის ნათესავები იყვნენ.

- საქმე კარგად წავიდა, - აღნიშნავს ზ. ჭიჭინაძე - პეტრე ხარისჭირაშვილს მთელი კონსტანტინეპოლის საზოგადოებრიობა ემადლიერებოდა, როგორც ეკლესიის აგებას, ისე ეკლესიაში ქართულს ენაზე სწავლებას დაწყების გამო. ეკლესიის გვერდით სასწავლებლის შენობის აგებაც დაიწყო... ქველმოქმედთა დახმარებით მალეც ალაშქნა. სასწავლებლისათვის შეიძინა ყველა საჭირო ნივთები, წიგნები, სხვადასხვა სახმარი საჭიროებანი და სახელმძღვანელოდ მოამზადა ქართული წიგნები, თითქმის ყველა სახეობისა. ამასთანავე, სკოლის გახსნის ნებაც მალე მიიღო და 1865 წელს გვავახეთის ქართველებს აუწყა: „კონსტანტინეპოლში ქართველი გვარის კათოლიკეთა შვილების აღსაზრდელად დაფუძნებ მონასტერი. მასთანვე გაგზავნენ სასწავლებელი და ამიტომ მოგწერეთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ ქართველ კათოლიკეთა შვილებს აქ გამოგზავნიდეთ სასწავლებლად... აქ ისწავლიან სამშობლო ენას, მასთან სხვა ენებს. სწავლის დამთავრების შემდეგ, ვინც სასულიერო წოდებაში ისურვებს შესვლას, ის რომში წავა უმაღლეს სასწავლებელში; იქ სწავლას დამთავრებს და მღვდლად შემოსილი დაბრუნდება საქართველოში...“ პირველ წელიწადსვე 100-ზე მეტი ყმაწვილი შეგროვდა, მათი მასწავლებლები ქართველი მოძღვარნი იყვნენ... პირველ დაწყებით ჯგუფებში ყველა საგანს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ და შემდგომ წლებში: ფრანგულის, იტალიურის, ბერძნულის, ლა-

თინურის, სომხურის და ოსმალურის სწავლებას აწყებინებდნენ. ასწავლიდნენ აგრეთვე სამეცნიერო საგნებს. მათ შორის: საქართველოს ისტორიას, ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, ქართულ გალობას, ქართულის ძველისა და ახლის მნიშვნობის ისტორიას, ეკლესიაში სამსახურს და ა. შ.

როცა გაძლიერდნენ, ეკლესიის ირგვლივ მიწებიც შეიძინეს და სასიკეთო საქმეებიც ბევრი აკეთეს.

ქართველი მღვდლები განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ ოსმალეთსა და საბერძნეთში. აქაურობა იმდენად სახელგანთქმული იყო, ოსმალეთის ძველი იმპერიის ფარგლებში, რომ ყოველი გვარის ხალხი და ხშირად სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებიც დაიარებოდნენ ამ ეკლესიაში. გარეთ, მშვენიერ ბაღში, ღვთისმშობლის, წმინდა ნინოს და წმინდა ანდრია პირველწოდებულის ძეგლები ესვენა.

მამა პეტრეს მიერ ჩამოყალიბებულმა სასულიერო საზოგადოებამ, ეკლესია-მონასტერი სტამბოლის მეორე უბანში - უსკუდარშიც დააარსა. ფერიქიისა და უსკუდარის ეკლესია-მონასტრებთან ქართულ-ფრანგულ, ქართულ-ბერძნულ, ქალთა და ვაჟთა სკოლები გახსნა. ქართველ მღვდლებს სკოლა და ეკლესია ჰქონდათ აგრეთვე პერსი უბანში, - პაპასკვერში. იმეზამად საზოგადოებამ ეკლესია-მონასტრები და ქართული სტამბა საფრანგეთში, ქალაქ მონთობანშიც დააარსა.

ამდენად, ქართული სასულიერო საზოგადოების მიზანი იყო ქართველი ხალხის გამოღვიძება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად. მამა პეტრე ხარისჭირაშვილს ამ გეგმის განხორციელებაში დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა. მატერიალურად უჭირდა, ხელს უშლიდნენ, ავიწროებდნენ. ამასთან, რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების მიერ მიღებული წესების გამო საქართველოში შესვლის უფლება არ ჰქონდა.

...მამა პეტრე, სხვა მრავალ საზრუნავთან ერთად, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და საქართველოს სახალხო

სარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველიფერი მოკლებული იყო სწავლის საშუალებისაგან, მთელი საქართველოს ფრიად უდიდესი ნაწილი... წიგნების უქონლობა უფრო შესამჩნევ გულ-დასაწყვეტი იყო მიხედვით სასოფლო სკოლების მდგომარეობისა... თუმც გლახი აკლენდა თავის ოჯახს და აძლევდა ფულს სკოლის ამგნებისა და მასწავლებლის ჯამაგირის მიცემისათვის, რათა განღებოდნენ სწავლის კარი თავის შვილებს... მაგრამ სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები არსად იყო... ერთ-ერთ „სასოფლო გაზეთში“ ნავიკითხე, რომ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ზოგი სკოლები გაუქმებულა კიდევ. სკოლების საბარლო მდგომარეობის შესახებ გაზეთ „დროება“-შიც ეწერა, ერთი მასწავლებელი ამბობდა, რომ „ბუნების კარი“ იყო და ისიც ხუთჯერ დავახელმეორებინე ყმაწვილებსო... სწორედ ასეთმა მიმე მდგომარეობამ შეგვაგულიანა სახელმძღვანელოების დაბეჭდვა, რის გამოც მიმე შრომა და წარმოების მსხვერპლი თავზედ ავიღეთო, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმატება სწავლაში და სხვანი“.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, - პეტრე ხარისჭირაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა, რათა მის მიერ დაბეჭდილი წიგნები, საქართველოს გარდა, ოსმალეთის მაშპადიან ქართველებშიც შეეტანათ და განეყრცოთ. აღნიშნულის შესახებ გაზეთ „ინდეპენდანტ ბელგიაში“ 1876 წელს დაბეჭდილი ცნობა იტყობინება: კონსტანტინეპოლის ქართველ ბერებს სურთ - „ნაციონალების გრძობის აღძვრის საშუალებით კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის მაშპადიან ქართველებში“-ო. რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტებას მოკლებული არ იყო, რადგან, როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, მამა პეტრეს კათოლიკობაზე უფრო ქართველ მაშპადიანთა საქმე ადარდებდა, მათი საქართველოსგან მოგლეჯვა და მოწყვეტა საკუთარი ფესვიდან და სრული გადაგვარების საფრთხე, რომლის რეალობის წინაშე ნამდვილად იდგნენ ქართველი მაშპადიანები. აღნიშნული ფაქტის შესახებ მისი თანამედროვენი წერდ-

ნენ: - „მამა პეტრეს, ოსმალეთში მცხოვრებ მაშპადიან ქართველების მდგომარეობასთან ერთად - დასავლეთ საქართველოს ყოფა და ქართველების შეფერხება ისე ადარდებდა, რომ ამაზე მეტი უსასტიკესი დარდი მისთვის აღარ იყო რა, რის გამოც მოამზადა მსგავსებელნი, რომლებსაც საღმრთო საქმესთან ერთად შესწავლილი ჰქონდათ - „ექიმობა, იცოდნენ წაწლების დამზადება, ასევე სხვადასხვა ენები და მასწავლებლობა...“ ერთმა ქართველმა რამდენიმე დუქანი შესწირა ამ საქმეს. ოღონდ ამ საქმისთვის ხელი მოეკიდათ და ამოდენა ქართველობა ნუ დაღუპულიყო, ქართულ გვარს ნუ მოსპობოდა ქართული ენა და ზნე-ჩვეულებათა...“

სამწუხაროდ, მამა პეტრეს ჩანაფიქრს შესრულება არ ეწერა, რადგან, ამ დროს, თურქეთი რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ჩაერთო და ქვეყნებს შორის მომოსვლა შეჩერდა... რაკი საქმე ასე დაბოლოვდა, ქართველი მქადაგებლები ევროპის სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. ამ ამბავმა პეტრე ხარისჭირაშვილი ძალზე დაალონა ფუჭად ჩავალი ბრძოლისა და მეცადინეობის გამო, ამიტომაც მიეცა მონასტერში განმარტოებულ ცხოვრებას, მწუხარებასა და გოდებას ქართველ მაშპადიანთა გამო.

ამ დროს, - ხაზგასმით აღნიშნავს პატრი შალვა ვარდიძე - „სტამბოლში, სტუმრად ჩამოსული ქართველი თუ მასთან მოსაკითხად მოვიდოდა, იგი მწარედ ატირდებოდა და შემდეგ საქართველოს ამბებს გამოკითხავდა. მოხუცი წინამძღვარი ასე მოიქცა მაშინაც, როცა კონსტანტინეპოლში ჩამოსულმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ინახულა. სახელოვანი ქართველის დანახვაზე ღრმა მოხუცს ცრემლი სტყველი უთხრა - „ძლიერ ვუმაღლი ღმერთს, რომ თვალები ამიხილა, მამცნო სამშობლო ენა, მწიგნობრობა, მიმახვედრა მის ისტორიას, სახელწოდებას, მის დღევანდელ მდგომარეობას, მის წინანდელ დავრდომილებას, ღვთისა და ქრისტიანობის დიდმა აზრებმა განავრცოს ეს აზრები ჩემ

ნოვალ ბართია

 ოქტომბერი მიყვარს ქართლის,
 ფერთა მისთა რიარია,
 სექტემბერი ადრე არის,
 ნოემბერი გვიანია.
 ზოგს რომ ჰკითხო,
 ვერც კი გეტყვის,
 უკეთესი რომელია,
 ოქტომბერი სულ სხვა არის,
 ოქრო აუნონელია.

ალი თავაზის (თავაზაშვილის)

ფერეიდანში, უსინათლო, ხანდაზმულმა
 კაცმა, ალი თავაზი, რომ გაიგო საიდა-
 ნაც ვიყავით, გვთხოვა – გემუდარებით,
 არ მინდა ისე მოვკვდე, ერთხელ მაინც არ
 ვნახო ჩემი საქართველო, საქართველოში
 წამიყვანეთო.

ეს რა მითხარი, ეს რა გავიგე,
 ეს რა მომესმა, ძვირფასო ალი,
 საქართველოსთვის, საქართველოსთვის
 თურმე ხილული გქონია თვალი.
 ვის გაუგია ასეთი რამე,
 ვერ გამოგია, ვინა ხარ, რა ხარ,
 იქ ვერას ნახავ ვერაფერს, თორემ
 საქართველოში ყველაფერს ნახავ.

სიტყვები შენი, სიტყვები შენი,
 მე ახლა თვალს ცრემლებით მივსებ,
 როგორ არ გინდა, სიკვდილი, თურმე,
 რომ საქართველო არ ნახო ისე.
 ეს რა მითხარი, ეს რა გავიგე,
 ეს რა მომესმა ძვირფასო ალი,
 საქართველოსთვის, საქართველოსთვის
 თურმე ხილული გქონია თვალი.

ისე არაფერი ხდება,
 თან აშკარად მიგრძობს გული,
 არის რაღაც ამ ფოთლებში
 უსათუოდ ჩამალული.
 მიგრძობს კი არ,
 ამ ფოთლებში
 ამდენი რომ ასე ყრია,
 ჩამალული რომ არ იყოს
 რამე, შეუძლებელია.

საიდუმლოს მე შენსას
 გულო ჩემო, ვერ ვხდები,
 როგორ ხდება, მითხარი,
 რომ არასდროს ბერდები.
 ყველაფერი ხომ ირგვლივ
 ძველდება და ბერდება,
 საიდუმლოს კი შენსას
 კაციშვილი ვერ ხედება.
 გეუბნები, ამას შენ,
 განა სალაპარაკოდ,
 კი, ბატონო, თუ გინდა,
 არ დაბერდე არასდროს.

ლმერთმა ასეთი დაგაბადა,

ლმერთი ყოველთვის გფარავდეს,
 მზესავით გასცემ სითბოს და
 მზესავით ითხოვ არაფერს.

ვინც ბარგის ჩალაგებას

ვინც ბარგის ჩალაგებას,
 ანუ აყრას გულა-ნაბდის,
 მაღლი უფალს, ყველაფრისთვის,
 ყველაფრისთვის უფალს მაღლი.
 ვინც ბარგის ჩალაგებას,
 ბარგი არის განა ბევრი,
 თანაც მეჩქარება არსად,
 საჩქარო არაფერი.
 არაფერი არც რა ხდება,
 დარდი მქონდეს, ანუ რისი,
 დადგა ფამი, წასასვლელად
 დამიწყია სამზადისი.
 მაღლი უფალს, გაჩენისთვის,
 ანუ მოფენისთვის მაღლის,
 თუმც არ ვიცი, ყოველივე
 იყო სიზმარი თუ ცხადი.

როგორ მიყვარდა მე ეს სიტყვები,
 თანაც ნამლერი გულით ალალით,
 ჟრუანტელივით დავლილი ტანში –
 „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი!“
 არანაკლებად მახვევდა თავბრუს,
 ანდა რა არის აქ დასამალი,
 მისი მომდევნო ტაეპი ერთი –
 „მე გული მტკივა, მომეც ნამალი!“

გვარი არ მახსოვს, კინწურა ერქვა,
 უკრავდა როგორ, მღეროდა როგორ,

მახსოვს, რომ ნაგავაოდან იყო, –
 აკორდეონის მადლობა მომგონს.

დავა ხანჯოყრი

ცეკვა კი არა,
 ეს არის ბრძოლა,
 ეს არის ბრძოლა,
 მართლაც, რომ ამ დროს;
 ეს იგივეა,
 დაარქვა ცეკვა
 მარაბდას,
 კრწანისს,
 დიდგორს
 და შამქორს.
 ქართველო კაცო,
 ქართველო კაცო,
 გამოგივლია
 ხომ ვიცი, ო, რა!..
 შენთვის ბრძოლაა
 ყოველი ცეკვა.
 შენთვის ცეკვაა
 ყოველი ბრძოლა.

არ ვიცი,
 როგორ
 გადავუხადო,
 მადლობა,
 რისიც ის არის ღირსი;
 რა ჩიტი იყო,
 გალობდა როგორ,
 სახელი მაინც
 ვიცოდე მისი.

ლევან ინაური

დაბრუნება

ყინავდა თებერვალი...
 და დაბრუნებამ დაანგრია ოცნებები,
 ვით უბედობის ვალი,
 ცა იყო მრგვალი,
 სიმარტივე ნიშნავდა ღმერთთან
 სიახლოვეს,
 რადგან მე მჯეროდა ჩემი არსებობის.

ქუჩაში ლოთებმა მე ხურდა მთხოვეს
 და მომერიდა მცირე თავნებობის,
 და დრო არ იყო ნერვებთან ომის.

მაინც ღვიოდა სევდა,
 უამი წარსულის წერილებს ხევდა.
 მოხდა აფრენა ახალი
 და მის კისერზე პატარა ხალი
 მიწვევდა, როგორც ინსტიქტი მგელის,
 – შენ უსაზღვრობა ამალამ გელის,

მე ვთხოვე სხვას სხვა სიყვარული,
 ის კი
 იყო აზრებში ღმერთით სრული,
 მომინდა ძლიერ და შევსვი ვისკი,
 ვით ფრენის გულში დაბალი რისკი,
 ცა იყო მრგვალი,
 და თებერვალი...
 არ მსურდა ფრენის შიში და რისკი,
 ამიტომ შევსვი ჯიმ ხიმის ვისკი.

მაინის ღამე

ახალი ფიქრი ათრიაქებს ჰაერში ღამეს,
 ჩამწვარ იმედებს ჩავაფრფლებ გულის წყვდიადში,
 რას გავაჩერებ ამ მომენტში წამზე უყამეს?
 უცხო ტურისტი თავს მოიკლავს თერთმეტ იარღში.

ჩვენ სულ გვანუხებს პიროვნების მღვრიე ღამეები,
 ხანდახან ცრემლი მოგუბული იღვრება ხეთა,
 რას გვიქვადიან ვეროპული ცის ქალაქები,
 ისინი მაღალ საფეხურზე გულგრილად სხედან.

მე გულს მიქროლებს ხმელეთიდან ზეცის
 უფსკრულში
 ღრმად აზიდული მწვერვალების ამაყი პოზა
 და ხალისიან მელოდის მედგრად დაკრულში
 მინიტირალებს წყურვილის ხმას სასმელის დოზა.

მიდიან მთები ფერდობებზე წელი ნაბიჯით,
 მოხეთქილ ზვავებს ვერ აბრკოლებს მწვანე ბალახი,
 ამ შეხვედრების ტრიუმფატორს მაღალი ნიჭით
 ელის მანძილი შორეული გადასალახი.

მაინი იკლავს მარადიულ წყურვილს დინებით,
 ვცდილობ თან ავეყე ამ დიდებულ მოძრავ პეიზაჟს,
 ქალაქი თითქოს მემუქრება ბნელი ბინებით,
 და ემსგავსება გამოპრანჭულს, როგორც გეიშას.



ტურისტმა თავი ჩამოიხრჩო თერთმეტ იარღში,
 მე უცხოელნი მაფიქრებენ მრავალ განცდაზე,
 კვლავ ვიკეტები მარად ღია გულის წყვდიადში
 და ბნელ იალქნებს შევცქერივარ მაინის ცაზე.

როგორც პოეტი

ნებდება ყინი და უკან იხევს,
 კალამს ანებებს უღლედი ტორი,
 მაგრამ უსიტყვოდ გადამღლეულ შტრიხებს,
 მე ვებრძვი, როგორც ლიტერატორი.
 ჯერაც უფხიზლო ნაბახუსევთა
 წარმოსახვაში გსურდა ნობელი,
 მიდიხარ შინ და ფეხაურეველად
 მოგდევს ქარბუქი დაუნდობელი.
 ყინი და ხიბლი უშლელი კვალის
 ჩამოცქეული რჩება მარადის,
 რომ უსასოო ოცნება მთერალი,
 სალხინებელის გზამდე არ ადის.
 და როგორც ტანად შებილწულ მეძავს
 სულიერ სატრფოდ მაინც არ ელი,
 იმ ისტორიულ კიდევს ლენავს
 და ვინჩი, ჯოტო და რაფაელი.
 გადაებმება ჯაჭვს მოგონების
 სუნთქვაშეკრული მრავალი ხანი,
 მე კი სიზმრებით გამოგონების
 გამოვიზამთრებ, ვით თომას მანი.
 ნაზი ფიქრები ჩვეულ ფერებით
 გამოფინინენ სხვისავსე მზეზე
 და მონინებულ კანდიერებით
 მე წინ ვიდექი, როგორც სკორსეზე.
 ნებდება ყინი და უკან იხევს
 აქ ყოფნა ხდება მარონეტი,
 მაგრამ უსიტყვოდ გადამღლეულ შტრიხებს
 მე კალმით ვებრძვი, როგორც პოეტი.

უგვანო ესკიზები

უქრობი ელვა და გაქანება,
 და უქმე წლების გადმონანება,
 გახელებული ქმინვა მკერდისა...
 მოფერება კი აღარ მეღირსა.
 და შემობურვა ნათოვლარ ზეცის
 ახლოა უფრო შორეულ დროსთან,
 ყმუილი ღამით მშვიდი მხეცის,
 გენია ბორგავს ალენილ ბრბოსთან.
 შენ არ გაქვს ცრემლის ხათრი და რიდი,
 შენ სუყველაფერს ანმყოზე ყიდი,
 დავკარგეთ ნელა როკი და ჯავა,
 კაფეში უცხო დალია ყავა.
 მნიფე მტევნები ვენახებს ება,
 და განწირული გამოქანება,
 შეყვარებულის შემხვედრი გზიდან,
 გამორბენამდე ადვილზე იდგა.
 და, მასპინძლო, შენ მეტყვი, – „შემო!“
 მე მოგიყვები, რომ ის სან რემო
 აღუნერელი დარჩა ლექსისთვის,
 ვით ჩანასახი ბავშვის ექვსი თვის.
 აგორდა ტალღა
 და უფრო მაღლა
 დაეცყო ღრუბლებს ფარული დაღლა.
 დამტვერდა ქალის შოლტები ქერა
 ქუჩაში ჟღერდა ქარის სიმღერა.

შედის წინაშე

კვირა დნებოდა დილის წირვებით
 და უსასრულო ცის გაკვირვებით,
 პაერს ნილბავდა უუამო ქნარი,
 ზღვა იყო წყნარი.
 შენ მიდიოდი იქით ოცნებით,
 ცხოვრებისეულ გამოცანებით,
 თუმც გულს გიკლავდა კივილი ქორის,
 ზღვა დგას ჩვენს შორის.
 მე მწვავს შიგნიდან ლექსის დემონი,
 სხვა ყველაფერი ჩანს უგემონი.
 ამ გაგიჟებას დანებდა ყველა,
 აღარ ჩანს შეველა!
 ჩემი მიზნების მთელი სიბრაზე
 ავადმყოფურად აკრავს აბრაზე
 და ახლა ჩემზე გიჟიც კი ითქმის,
 გავთავდი თითქმის!
 სახელი მე არ მენვება მალე
 და უკვე ძლიერ გადავიღალე.
 მოემტვრა ზეცას მძიმე ფეხები,
 მე ღმერთს ვეხები.
 დაუშრეტელი კალმის მელნობა
 და პოეტური მოუთმენლობა,
 მტანჯავს და თესავს ლექსების ნერვებს,
 რა ვუყო ნერვებს?!

 გამოიტირა ღამემ შუქი შენი სახლიდან,
 მე გდარაჯობდი შემართული, როგორც ყაჩაღი,
 შენ უნებლიე მლეღვარებას გულზე მახლი და
 გამოიტირა ღამემ შუქი შენი სახლიდან.
 ვით შეუძლებელ იმ სიყვარულს ველი ახლიდან,
 მე ვარ ხანძარი ადიდებულ ზღვაში ნაჩალი,
 გამოიტირა ღამემ შუქი შენი სახლიდან,
 მე გდარაჯობდი შემართული როგორც ყაჩაღი.

პროზა

ამირან ჯიხაძე

ქალი, რომელსაც ძალიან ლამაზი სახე, გადატყვევებული თმა და მეტყველო, ნუშისებრი თვალები ჰქონდა, ავტობუსების გაჩერებასთან იდგა. მას უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა და მიმართა:

- ქალბატონო, უკაცრავად, ასე უცერემონიოდ რომ მოგეჭირეთ, მაგრამ, ეს რომ არ გავაკეთო, ჩემს თავს ვერ ვაპატივებ!
- რაშია საქმე? - შეკრთა ქალი.
- უბრალოდ, ძალიან მომხიბლეთ და სხვა გზა არ გაქვთ, უნდა გამეცნოთ!

- რას მელაპარაკებთ?! - ირონიულად უპასუხა ლამაზმა.
- რატომ გაცივდა? ასეთი ქალი რომ ვინმე დაინტერესდეს, რა არის ამბი უცნაური?!
- არც მიკვირს, მაგრამ უტაქტობას ვერ ვიტან! მაპატიეთ, მაგრამ ასე პირდაპირ, ასე უტიფრად მოსვლა? მგონი არასწორია!


კაცთან მამინვე ქმრების ძაგებას იწყებო.
- უტიფარი ადამიანი ბრძანდებით. ვერ ატყობთ, რომ ბევრს ყბედობთ! აი, ახლავე ჩემს მეუღლეს დავურეკავ და გირჩევნიათ დროზე მომხორციელოთ და თქვენს საქმეს მიხედოთ!

თემურმა ქალის ქცევაში სიბეჭავე, უმწიფობა და დათრგუნელობა ამოიცნო. ის გამუდმებით ისწორებდა თმებს, რითაც ვაჟი მიხვდა, რომ აღარ უნდა მოეშვა.

- ხომ გითხარით, თავს არ დაგანებებთ. მერამდენედ უნდა გაგიმეოროთ, თქვენმა სილამაზემ ისე მომიხიბლა, მეტი

და პირდაპირ მიახალა:

- მე ვგრძნობ, რომ თქვენ, ქმარს გაცილებული ხართ! ქალს ხმა არ ამოუღია, თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ, თემურს მკაცრი ტონით მიმართა:
- გეყოფათ, რა! თქვენ თავს მიხედეთ, ჩაჯექით თქვენს „მერსედესში“ და მომწყდით თავიდან!



ავტობუსის გაჩერებასთან

აღარ შემოიღია. გაცივებული ვარ, ასეთი რამ ცხოვრებაში არ განმიცდია. თქვენ კი, ხელს მკრავთ!

- რამდენი წლის ბრძანდებით? - დაინტერესდა ქალი.
- მე, უცდალხუთი წლის ვარ. მართალია ასაკოვანი არ გახლავარ, მაგრამ, ქალების ბუნებას, ასე თუ ისე, კარგად ვიცნობ.
ძალიან თავდაჯერებული ბრძანდებით!
- რატომაც არა! კარგი სამსახური მაქვს, ფულიც არ მაკლია, გარეგნობითაც ვერავინ დამინუნებს და ქალს მეტი რა უნდა?
- ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კაცს, სამსახურის და ფულის გარდა, ინტელექტიც უნდა ჰქონდეს!
- ეს არ უნდა გეტყვათ.
- ვითომ რატომ? - ჩაეძია ქალი.
- რატომ და მთლად დებილის შთაბეჭდილებას არ უნდა ვტოვებდე!

- აზრი არა აქვს და იმიტომ!
- ეს, რა უხასიათო ყოფილხართ. ხომ გეუბნებით, კარგი ოჯახის შვილი ვარ, მდიდარიც ვარ. კარგი სამეცობრო წრეც მყავს. ვიცი, ამით არ უნდა ტრაბახობდეს კაცი, მაგრამ, რა ვქნა? სხვანაირად უკვე აღარ შემოიღია.
- არ მოგწყინდათ ეს უაზრო ლაპარაკი?
- თქვენნაირ ლამაზ ქალთან საუბარს რა მომაზებურებს!.. ამასობაში ცხელმა ქარმა დაუბერა და ქალს თმები აუშალა. მან მამინვე გაისწორა თმები და ქუჩის ბოლოსკენ გაიხედა.

- ვის ელოდებით? - გამოსცრა თემურმა.
- რამდენჯერ უნდა გითხრათ, სამარშრუტო ტაქსს ველოდები, ძალიან მეჩქარება სამსახურში და თქვენდა ბედად, ის იგვიანებს.
- სად მუშაობთ? - ეს მაინც მითხარით.
- მერამდენედ გეუბნებით, შემეშვით, რა!
- ახლა უკვე ველარ შეგეშვებით!
- ვითომ, რატომ? - გაოცდა ქალი.
- იმიტომ, რომ თქვენს თვალში ძალიან დიდი სევდა ამოვიკითხე. ძალიან მიწადა, რომ რამეში დაგეხმაროთ. მოკლედ, თუ დამიხსოვდებით, მერე მე ვიცი, ჩიტის რძესაც არ მოგაკლებთ. მეტი რაღა გითხრათ?
- ტყუილად ოცნებობთ, ხომ გითხარით, ქმარ-შვილი მყავს-მეთქი. თავი აღარ უნდა გამანებოთ?!
- ამისი კი, ნამდვილად არ მაჯერა.
- რისი? - დაინტერესდა ქალი.
- მე მტკიცედ მწამს, რომ ქმარს გაცილებული ხართ, ამჟამად კი მარტო ბრძანდებით!
- ძალიან ცდებით! - წარმოსთქვა ქალმა და ღრმად ამოიოხრა.

ნათედკვადმდეხედი

დასასწავლისი გვ. 3

თანამემამულეებში და დაიფაროს იგინი თავიანთი სამშობლო ქვეყნით, ენით, წიგნობრობით და გვარტომობით...". ყოველივე ამის შემდეგ დანერვილებით გამოუკითხავს ერის მდგომარეობა და ისტორია...
მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობისა, პ. ხარისჭირაშვილი სისტემატურად თვალ-ყურს ადევნებდა ოსმალეთში მყოფ ქართველთა და ნამეტურ იმ ქართველთა მდგომარეობაზე, რომელთაც ქართველი მებატონეები ყიდდნენ ოსმალთა ვაჭრებზე, - წერს ზ. ჭიჭინაძე და აქვე აგრძელებს: „ოსმალთა ვაჭრებს ეს ყმანვილები ტრაპიზონში და კონსტანტინოპოლში მიჰყავდათ და იქ ჰყიდდნენ თათრებზე, შემდეგ კი ათათრებდნენ. ასეთი დაყიდული ქართველი ყმანვილები პ. ხარისჭირაშვილის ხშირად დაუხსნია თავის საკუთარი ფულით და მერე ესენი სამშობლოში დაუბრუნებია. XIX ს-ის 60-იან წლებში“, - ვკითხულობთ სავანის დღიურებში - მრავალი გურულის გოგობიჭები და ქალბატონთაგანი იქნენ პ. ხარისჭირაშვილისაგან დახსნილი, რომლებიც თათრობითაგან ქრისტიანობაზე გადმოვიდნენ, კონსტანტინოპოლის დედათა მონასტერში მოლოზნებად შევიდნენ...“
მიუხედავად ასეთი მძიმე ამბებით გულგატეხილი და მონასტერში განმარტოებული ქართველთა სამსახურს გულიდან ვერ იმორებდა, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ისიც, რომ ერთ დღეს შეკრიბა თავისი თანამემამულეები და განუცხადა: ყველა გვარის ტომი დანინაურდა ვაჭრობით, ხელობით და სხვე-

ბის ცოდნით. მაგრამ, ჩვენ ქართველებს კი არა გვეშველა რა, ჩვენი ქვეყანა სავსეა უცხო ტომთა ვაჭრობით, ჩვენში ისინი სარგებლობენ და ჩვენები დაქვეითებული არიან. ამას რამედ უნდა ეშველოს... რომ ქართველი ტომის ერნიც დადგნენ წინ და ვაჭრობას შეეჩვიონ.
ამ საკითხის მოგვარებისთვის მას განუზრახავს სავაჭრო ამხანაგობის შედგენა და სტამბოლში დაფუძნება. ამ ამხანაგობისთვის მას შეუწირავს თავისი საცხოვრებელი და შეძლება... გაუმართავს ხელის მოწერა. როგორც წყარო-მასალები გვამცნობენ, ბევრს ამხანაგობისთვის თავისი საცხოვრებელი შეუწირავს... ფულის მოგროვებისა და მტკიცე ქართული გვარის ძმობის დაარსების შემდეგ ქართველნი კონსტანტინოპოლში აშენებენ ქარვასლას, აქ ხსნიან მალაზიებს. ქარვასლას ქართველთა ვაჭართა ქარვასლა უწოდეს... უკვე საქართველოში იმყოფებიან ძმობის ამხანაგები, რომლებიც საქართველოდან ამ ქარვასლაში გზავნიან ნაწარმს, რომელიც იქ იგზავნება და იყიდება, ხოლო შემდეგ ევროპაში ყიდულობენ იმ საქონელს, რაც საქართველოში საღებდა და გზავნიან საქართველოში მყოფ ძმობის ამხანაგებთან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამხანაგობა ცდილობდა, რომ ვაჭრის შეგირდებით მარტო ქართული გვარის მონაფენი ყოლოდათ... ძმობის ამხანაგობას შეუდგინეს წესდება, რომლის თითოეული პუნქტი მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცული, სადაც ყოველი კითხვა, ყოველი საგანი დანერვილებით იყო აღწერილი და განმარტებული. ასე, რომ ეს წესდება კი არაა, - გამომოგვცემს მემატინაე, - არამედ, უფრო თხზულება არის

იმის შესახებ, თუ ასეთი სასარგებლო ძმობა, როგორ და რა მიზნით უნდა დაფუძნდეს და ისიც, თუ ამის მოქმედება, წარმოება და ვაჭრობა რა რიგით იქნეს მოწყობილი.
ამ საქმის განხორციელებას იგი ველარ მოესწრო და მწარე ნალღიანობაში მყოფი 1890 წლის 28 სექტემბერს სტამბოლის ქართველ მამათა მონასტრის დამაარსებელი პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალული იქნა იქვე, თავის მიერ აშენებული ეკლესიის საკურთხევლის წინ.
მონასტრის არქივში ინახება ჩანაწერი, სადაც ვკითხულობთ: მამა პეტრემ სიკვდილის წინ თვის მიხმო თავის მოწაფე-მოძღვარნი და დიდის ერთგულებით დაავალა შემდეგი: საქართველოს სიყვარული, ქართული ენის და მნიგნობრობის პატრონობა, რომ მათ ტომობას, გვარს და ენას გზაში რაიმე ხიჯათი არ მოევიდნოს და მათ არ დაუწყონ გადაგვარება. დიდებული ქართული ენა, რომელი ენითაც ლაპარაკობდნენ თვით მოციქულნი მაცხოვრისა და რომელი ენაც ადდა შოთა რუსთაველმა, შეთვლმა, პეტრე ვარაზ ბაკურისძემ, ჩახრუხადემ, გიორგი მთაწმინდელმა, პეტრინმა, თომეველმა და სხვებმა, რომ ეს ენა არ წაერთოდ მათ და არ დაეკარგათ...
ჩვენ, ჩვენ რას ვფიქრობთ დღეს?!...
პეტრე ხარისჭირაშვილის გარდაცვალების ამბავმა ახალციხეშიც მოაღწია. უანგარო მამულები ქართველმა საზოგადოებამ დიდი მწუხარებით დაიტირა. მისი გარდაცვალება განსაკუთრებულად ქართველმა ინტელიგენციამ განიცადა, რადგან ისინი საზღვარგარეთ ყოფნის დროს ხშირად ქართუ-

ლი მონასტრის სასტუმროში ცხოვრობდნენ და კარგად ახსოვდათ პეტრე ხარისჭირაშვილის დახმარება და მხარდგომა. მაგრამ, განსაკუთრებით მტკივნეულად ეს ამბავი მშობლიური ქალაქის სასულიერო, საერო და ნათესავ-მეგობართა წრემ განიცადა, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ივანე გვარამაძის სიტყვა, თქმული 7 ღვინობისთვის, 1890 წელს ნათლისმცემლის ეკლესიაში - „...ეკლესიაში ვარდი ამოვა, რუსხმულთა და წყლის პირთ ნაპირებზედ შრომანი, მინდორ-ველზედაც ყვავილი; ჩვენს ამ მცირე საბრალო ვალატაკებულს ახალციხის ქალაქშიც უკანასკნელ სხვათა მოძღვართა შორის, რომ გორც ვიცი, ამ ჩვენს მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, ხომ აღმოჩნდა უფლის მიერ ან ახალგანსვენებული აბა მამა მოძღვარი - პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი, რომელმანაც რა შეჰხედა ჩვენს მოუძღვრებულს შინაგანის და გარეგანის მტრების შემძლავრებლისაგან; თავის მამულის ღირს - შვილურის მეტისმეტი კაცთ-მოყვარებით შეჭურვილმან. არა მარტო მთელი თავისი საცხოვრებელი გარდასდგა ჩვენს გასაძლიერებლად და დასანინაურებლად; არამედ, იგივე თვით თავისი თავიცა შესწირა ღმერთსა მონაზონობითა...“ ყოველის მხრით სინდისის განწმენდილმან მიიძინა ღვთის მადლში. უფალმან საუკუნო განსვენება მიანიჭოს და სამარადისო ნათლითა განანათლოს ზეცას სასუფევლისა შინა იგი, რათა იყოს მეოხე ჩვენი: ამინ.
წერილი მომზადებულია სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში დაცული, თეოლოგიის პროფესორის - შალვა პარღიძის დღიურების მიხედვით

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნებულა ენ. „მაჰმადიან მესხთა“ თაობაზე. ამჟამად ამ თემაზე კვლავ ვთავაზობთ ორ საგაზეთო მასალას, რომლებიც, ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს. პირველი პუბლიკაცია ეხება სხვადასხვა ორიენტაციის მქონე რეპატრიანტ მაჰმადიან მესხებს, ხოლო მეორე, ინტერვიუს ის ნაწილია, მაჰმადიან მესხთა თაობაზე, რომელიც „მესხეთის უნივერსიტეტის“ რექტორმა მარინე ზედაძემა 2014 წელს, დეკემბერში აიღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისაგან – ბატონმა მამრად ბერიძემ გასული წლის მიწურულს მონაწილეობა მიიღო თურქეთის ქალაქ ბურსაში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს გასახლებულ მაჰმადიან მოსახლეობას.

ხალილ გოზალიშვილის სახელობის მესხთა საერთაშორისო ასოციაცია „ხსნა“

(სრული ინფორმაცია ქართული ორიენტაციის მესხთა შესახებ)

მინდა მოკლედ, ქრონოლოგიურად აღვწერო ხალილ გოზალიშვილის მეთაურობით საზოგადოება „ხსნის“ შექმნის პირობები, ასევე ვისაუბრო ხალილის გარდაცვალების შემდეგ თავმჯდომარის როლში ისა აშრაფოვის მოსვლისა და ხალილ გოზალიშვილის სახელობის ასოციაციის იძულებითი შექმნის შესახებ.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დროებით საორგანიზაციო კომიტეტს (დსკ), რომელშიც ყველა მესხი სამშობლოში ფანჯარას ხედავდა, თავმჯდომარეობდა ანვერ უდაბაშოვი (ხორეჯანიძე). ხალილ გოზალიშვილი იყო მისი პირველი მოადგილე და იდეოლოგი. ყველა წესიერი მესხი თავს მოვალედ თვლიდა გამხდარიყო დსკ-ს წევრი. ისინი ყველანაირად ეხმარებოდნენ მის ლიდერებს.

იმ დროს ისა აშრაფოვი იყო ქ.კუვასაის (ფერგანას ოლქი) ავტობაზის საწყობის გამგე. 60-იანი წლების ბოლოს ის იქიდან გაიქცა ფულის გაფლანგვის გამო.

თქვენი მონა-მორჩილი მაშინ იმ საშუალო სკოლაში სწავლობდა, სადაც ხ.გოზალიშვილი ისტორიას ასწავლიდა. მან სამშობლოსადმი, მესხეთისადმი, საქართველოს ისტორიისადმი ისეთი სიყვარული ჩაგვიწერა, რომ ჩვენ სამუდამოდ მისი იდეის მონებად დავრჩით. დსკ-ს იდეა კი ერთი იყო – ჩვენ სისხლითა და ხორცილი ქართველები ვართ, რომლებმაც, ძალაუნებურად, მუსლიმანობა მიიღეს. იმას, რომ ჩვენ წარმოშობით ქართველები ვართ, მამაჩემი გვეუბნებოდა, რომელიც უგანათლებულესი კაცი იყო.

60-იანი წლების ბოლოს უდაბაშოვი (ხორეჯანიძე) ციხეში ჩასვეს. 70-იანი წლების დასაწყისში ის დაგვიბრუნდა თავგამოდებულ პანტურქისტად. დსკ ორ წელიწადს გაიყო. ეს იყო სუკ-ის შესანიშნავი ოპერაცია.

თუკი ადრე დსკ სხდომებს ფარულად ატარებდა, უდაბაშოვის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, სხდომები ლიად ტარდებოდა. მას არავისი აღარ ეშინოდა, ჩანდა, რომ მას შესაბამისი ორგანიზების მხარდაჭერა ამხნევებდა.

ახლა, ფარულად, ხალილ გოზალიშვილის მომხრეები იკრიბებოდნენ.

დსკ-ში დიდი უთანხმოებისა და შესაბამისი ორგანიზების დევნის გამო ხ.გოზალიშვილი ყაბარდოში, ნალჩიკში წავიდა, სადაც, 1969 წელს, მესხები მესამედ გადაასახლეს გალის რაიონიდან, მათ შორის ჩემი დეიდაც იყო. 1969 წელს მე და მამაჩემი მასთან საცხოვრებლად ნალჩიკში ვადმოვედით. ისინი სოფელ ფსიკოდში – „ბარაკებში“ ცხოვრობდნენ. მესხების თქმით, ისინი, ხელისუფლებაზე კი არა, საქართველოზე, მის ერზე განაწყენებულნი იყვნენ, თვლიდნენ, რომ ხალხი ხელი-სუფლების წინააღმდეგ წავიდოდა და მესხებს დაუჭერდა მხარს. ეს ხომ ტოტალიტარულ რეჟიმში შეუძლებელი იყო.

დსკ-ს დამოკის შემდეგ, უმეტესობა ანვერ უდაბაშოვის მხარეს აღმოჩნდა, რადგან ხალხის თვალში ის ნამებული იყო. ხელისუფლება ჩუმად ეხმარებოდა მას, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოველი ბრძანებულების შემდეგ, აწყობდა ინსცენირებებს, რათა ყურადღება მიეპყრო. როდესაც პანთურქიზმის იდეა აზერბაიჯანს მთლიანად მოედო, ასეთი ლიდერის იქ ცხოვრება სასურველი აღარ იყო, ის ხ.გოზალიშვილთან გაგზავნეს. რუსეთს მესხი მოსახლეობის ალტერნატიული იდეა შესრულებოდა. ხელისუფლება შესანიშნავად მოიქცა. ანვერ უდაბაშოვი ლიდერი გახდა. იუსუფ სარვაროვი – მისი მარჯვენა ხელი.

რას აკეთებდა იმ დროს აშრაფოვი? აზერბაიჯანში, ადიგენის კოლმეურნეობაში (საათლის რაიონის სოფელი ქიროვქენდი) მან გახსნა კოოპერატიული მალაზია, მოსახლეობისგან პროდუქტებს ყიდულობდა და ყიდდა მათ კანტორებში, რითაც დიდ ფულს აკეთებდა. 70-იან წლებში ის ამით იყო დაკავებული.

საბჭოთა დროში მალაზიებში, კაფეებში, სასადილოებსა და სხვ. მომუშავე მესხთა ერთი ნაწილი შს ორგანოების ოფიციალური აგენტებიც კი იყვნენ. ჩვენ ეს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ვიცოდით, როცა კრებები სოფლებიდან მოშორებით ტარდებოდა. ჩვენ ქართული ორიენტაცია გვქონდა.

ვიცოდით, რომ მართლმადიდებელი, იმიტომ, რომ მესხეთის ისტორია ვიცოდით და გვქონდა ქართული გვარები, რომლებიც უკავშირდებოდა გამოჩენილ მწერლებს, მეცნიერებსა და დისიდენტებს.

70-იანი წლების მეორე ნახევარში, უდაბაშოვის ყაბარდოში გადმოსვლის შემდეგ, აშრაფოვიც იქ მიემგზავრება. რაზე მეტყველებს ეს?

აშრაფოვი ყოჩაღი ბიჭია, ის იწყებს მუშაობას ორსართულიან რესტორანში, რომელიც მდინარე თერგზეა – ქ.მასისკის და თერგის რაიონს შორის. 80-იან წლებში ის იქ ფულს აკეთებს.

ფერგანის 1989 წლის მაის-ივნისის მოვლენებით შოკში ვართ. გვეკლავენ, გვგოცავენ, საშინლად გვექცევიან – საქართველო კი დუმს. მესხთა უმეტესობა თავს თურქად თვლის, მაგრამ, იმ მომენტში, ყველა მესხი საქართველოს იმედით შეჰყურებდა, მან კი, კიდევ ერთხელ გაგვიჩინა – ჩვენ ისევ რუსეთის იმპერიის კლანჭებში ვართ. ჩვენ, ხალილის მომხრეებს, არ გვემისი საქართველოს განმათავისუფლებლების, ეროვნული მოძრაობის ლიდერების, ისინი ხომ კვბ-ს მოთხოვნებს ასრულებდნენ – პოლიტიკურ დისიდენტებს აგროვებდნენ.

გოზალიშვილის მიმართ, ზვიად გამსახურდიას მიმართ, უპასუხოდ დარჩა. ბევრი ჩვენი მომხრეთაგანი სარვაროვის მხარეს გადავიდა, ან, უბრალოდ, წავიდა. მათ დაკარგეს საქართველოსადმი რწმენა. ჩვენ სულ უფრო და უფრო პატარა წრეში აღმოვჩნდით. გვესმის, რომ ერი დამანაშვე არ არის! ალბათ, პირველად, 1944 წლის შემდეგ, ხალხმა იგრძნო სამშობლოს გენეტიკური და ფიზიკური მოთხოვნა.

ამ სავალალო დროის განმავლობაში, მხო-



ლოდ ჯუმბერ პატიანივლიმა გასცა ბრძანება (1988 წ. აპრილი), რის საფუძველზე მესხთა 100 ოჯახს უფლება მიეცა დასახლებულიყვნენ მესხეთში. ამ ოჯახებმა საქართველოს ხელისუფლებისაგან ოფიციალური საბუთები მიიღეს.

ხ.გოზალიშვილის დედა ავად გახდა. ის ამ დროს ადიგენში (საათლის რაიონის სოფელი ქიროვქენდი) იმყოფებოდა. მოულოდნელად იქ ჩამოივინა მერაბ კოსტავა და თამარ ჩხეიძე. მახსოვს მერაბ კოსტავას სიტყვები: „მორჩა, ხალილ, ყველაფერი დატოვე და წამოგვეყვი, საქართველო გელოდება!“

სურმოდ იყო ჩვენი სიხარული მოსკოვში კი, სარვაროვი აამხედრეს „თურქი მესხების“ წინააღმდეგ. ბევრს არ ესმის, რას გულისხმობს ეს სიტყვა. თურქი ხომ მაჰმადიანს ნიშნავს, მესხი კი – ქრისტიანს! მახსოვს, ფერგანის მოვლენების შემდეგ, ეროვნულ პალატაში, რომელსაც მიმანოვი ხელმძღვანელობდა, გაიმართა პრეს-კონფერენცია, ჟურნალ „ოგონიკის“ ჟურნალისტმა ჰკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს „თურქი მესხების“ შესახებ. გუმბარაძემ გასცა მოკლე, დაკონური პასუხი. ზუსტ ციტირებას ვერ გავაკეთებ, შინაარსი

კი ასეთი იყო: არიან მესხები და არა თურქები. „თურქი მესხები“ ეროვნება კი არ არსებობს. ყოველი მათგანის პრობლემები შესაბამისმა ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ, რადგანაც ეს სიტყვა ერთ ეროვნებას გულისხმობდა, არც საქართველო და არც თურქეთი ამაში არ ჩაერივნენ. რა სიახველით აითვისეს ეს სიტყვა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. ამ სიტყვის ფუნდამენტზე შეიძლება ისეთი „სიძულვილის შენობის“ აგება, რომელიც გერმანელების – ებრაელების მიმართ, რაც „სიძულვილის შენობა“-ზე უარესია. ასეც მოხდა. ძალიან მოკლე დროში საქართველოში გაჩნდა ლოზუნგები – „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის!“, „საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა!“ და ა.შ.

სიტყვა „თურქი მესხები“, მოსკოვის სუკის გენერლების მიერაა მოგონილი. ისინი ახალ-ახალ იდეებს სარვაროვს უგზავნიდნენ, რის შედეგადაც მესხები კიდევ დიდი ხნით სამშობლოს გარეთ აღმოჩნდნენ.

1988 წლის გაზაფხულზე სარვაროვი ატარებს მიტინგს ქალაქ ბორჯომში. თავსხმა წვიმაში მან 500 კაცი დააყენა და ყვიროდა, რომ ისინი თურქები არიან. იმ 100 ოჯახის



ჩათვლით, რომლებიც მესხეთში დაბრუნდნენ. მრავალწლიანმა სიძულვილმა თავისი გააკეთა: თურქები სოფლებიდან კინისკვრით გაყარეს, ზოგიერთი დისიდენტი მოსკოვის განზრახვას მიემხრო.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ექსპერიმენტიდან?

1. ოსმალეთის, რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მიერ მესხების დამუშავების

ხალილის ერთგულნი დავრჩით, „ვათანოველებს“ გარდა, მთელი საქართველო აამხედრეს „თურქი-მესხების“ წინააღმდეგ. სამი წელი ამ კომარში ვცხოვრობდით, საკუთარი ერის მიერ უკუგდებულნი, ვინ იცის, რამდენ დამცირებასა და ლანძღვა-გინებას განიცდიან.

„ვათანოველებმა“ ულტიმატუმით მოგვმართეს – სამშობლოს საქმეებში არ ჩაერიოთ! დიდი ხნის უარყოფის შემდეგ, ჩვენ დავთანხმდით, მაგრამ იატაკქვეშეთში დავრჩით.

საზოგადოება „ვათანის“ გაზეთში – „ვათან ეშკი“-ში გამოქვეყნდა ი.იშრაფოვის სტატია, სადაც ის ამბობს, რომ ისწავლა ლათინური ანბანი და უხარია, რომ მალე გაზეთი მშობლიურ თურქულ ენაზე გამოვა.

როგორ მოხვდა აშრაფოვი სარვაროვის გუნდში? მოდით, ვთქვათ, გაუნათლებელი ხალხი, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, პატივს სცემს სამ რამეს:

1. ძალადობას; 2. ფულს; 3. ძალას. აშრაფოვს ჰქონდა ფული და კლანი, რომელსაც ნებისმიერი ფულიანი მესხი თავის ირგვლივ ქმნის. პირველ ეტაპზე სარვაროვს

ასეთი ხალხი სჭირდებოდა. მესხები ფულს არ ნანობდნენ, ეს ხომ მალაზია ან რესტორანი არ არის. მოსახლეობას უყვარს ადამიანი, რომელიც სამშობლოს დაბრუნებისთვის იბრძვის.

ზვიად გამსახურდიამ და ხალილ გოზალიშვილი ოცი წელი ჟურნალ „ოქროს სანძისში“ მუშაობდნენ. ისინი მეგობრები იყვნენ. ზვიადი მესხების მხარდამჭერ სტატიებს წერდა, მას შემდეგ, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, სულ სხვანაირად იქცეოდა. მე მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატირება მინდა, რომ მესხები კიდევ რამდენიმე ათეული წლით სამშობლოს გარეშე დარჩნენ.

1991 წელს, ადიგენში (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საათლის რაიონის სოფელი ნასიბქენდი) ხალილმა და მისმა მომხრე ინტელიგენციამ გამართეს მიტინგი, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. ჩვენ ყველა მოვლენა გაგვანალიზებოდა. ბოლოს გადავწყვიტეთ, შეგვექმნა საზოგადოება „ხსნა“.

საზოგადოება „ხსნა“ არის ქართველ მაჰმადიანთა, მესხთა საზოგადოება, რომელიც „ვათანთან“ არავითარ კავშირში არ არის. ამ ორი საზოგადოების იდეები დიამეტრულად განსხვავდება.

შევიმუშავეთ წესდება და პროგრამა. თავმჯდომარედ ხალილ გოზალიშვილი ავირჩიეთ. ასევე საზოგადოების 11 კაციანი საბჭო, ზოგიერთი მათგანი ჩვენთან აღარ არის, აშრაფოვისნაირი არც ერთი არ იყო.

საზოგადოების შექმნისთანავე, ხ.გოზალიშვილი თბილისში, გამსახურდიასთან გავაგზავნეთ იმისათვის, რომ დაგვხმარებოდა „ხსნის“ სამშობლოში დარეგისტრირებაში. პრეზიდენტმა რეგისტრაცია ხალილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ნალჩიკში გაგვიკეთა. მან დაურეკა კოკოვას, ყაბარდოს პრეზიდენტს და დახმარება სთხოვა.

ასე ჩვენი საზოგადოება ლეგიტიმური გახდა.

1991-1992 წლების მოვლენებმა – ჯაბა იოსელიანისა და სიგუას ხელისუფლებაში მოსვლამ, დემოკრატიულ ძალებს გასაქანი მისცეს. ხალილის თხოვნით, 1992 წლის თებერვალში, მე თბილისში ჩამოვედი. ჯაბა იოსელიანმა მიმიღო. მე ვუამბე ჩვენი საზოგადოების შესახებ, მოვილაპარაკეთ, რომ 4 დღეში ის ხალილს მიიღებდა, – იუსტიციის სამინისტროს შეატყობინებდა და რეგისტრაციას გაგვიკეთებდა. ჯაბა სიტყვის კაცი იყო.

საქართველოში ოფიციალური პირი ვარ, ძალიან გვიხაროდა. ამაზე მთელმა კავშირმა გაიყო.

მშინდარ ად მერაჯხუდი მცენ არის ისჯორია ვაზის გაშენების პირობები და გლეხური მეუხეობის შესაძლებლობა თანამეცხოვე პირობებში

(დასასრული, დასაწყ. №7-9-10)
სამცხე-ჯავახეთში ვაზის კულტურისთვის გავრცელების პირობები შეიცვალა იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა ტყის ფართობები, რამაც გამოიწვია ატმოსფერული მოვლენების უარყოფითი ზემოქმედება ვაზის წარმოებაზე. როგორც მეცნიერ-მკვლევარები და ვაზის მოყვარული მევენახეები აღნიშნავენ, „მესხური ვაზი საუკეთესო თვისებებით გამოირჩევა, მას ახასიათებს ადგილობრივ პირობებთან შეგუების უჩვეულო უნარი. აქ გავრცელებული აბორიგენული ვიშნის უმეტესობა საუკუნეთა განმავლობაში შეგუებულია მაღალი მთის კლიმატური პირობების გავლენას. სამცხე-ჯავახეთის ვაზის ვიშნები უფრო სიგრილეს არიან შერეულნი. კონკრეტული ვიშნები ავლენენ შეგუებას კონკრეტულ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში და უხვ მოსავალს იძლევიან“ (მაქსიმე რამიშვილი - „მევენახეობის განვითარებისათვის მესხეთში“, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის შრომათა 1943 წ.).

სამცხე-ჯავახეთში მევენახეობის წარმოების უძველესი ფორმაა ხევანი, დაბლარი და ფეხის ვაზი, აგრეთვე გარბხული. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, „სამცხე-ჯავახეთში აღრიცხულია ვენახის 111 ნაკვეთი. აღნიშნული ნაკვეთები ხევანს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მითითებულია, რომ სოფელ უდუში 2 ნაკვეთი ახალშენია, ხოლო ერთი - დაბლარი. დავთარში აღნიშნულია, რომ სოფელ მერქეში, ვენახის 2 ნაკვეთი „ხატის ვაკუფია“. ახალციხის ხიდის საჭიროებაზე დასახარჯად ვენახის 1 ნაკვეთი სოფელ ლაშხევში არსებული, რომელიც 10 ქილიანია, იქნეს გამოყენებული; მამული 1 ნაკვეთი 30 ქილიანი სოფელ ზემო მარდაში ჩილდირის ხალიფაშას შემონირული ახალციხის ჯამესათვის ვაკუფს. ვენახი გურაფსა აზნაურისა შერჩეულია მეჩეთში ყურანის საკითხავად. ვენახი ჭულეს ეკლესიისა ვაკუფი 1 ნაკვეთი ქრისტეფორე ბერის ხელში იძლევა გამოსაღებს და ბურსეს. ვენახი მირზა ალიბეგისა სოფელ ლაშხევში 1 ნაკვეთი ეკლესიის შერიული (ვაკუფი) სასამართლოს განაჩენით ოჯახის წესით იძლევა 40 ახჩას. სოფელი ორბოცი, სოფელ საროს ვენახების გამოკლებით, ვენახი შავიკის სასამართლო განაჩენით ოჯახის წესით შესანიშნავი (ვაკუფი) 1 ნაკვეთი იძლევა 10 ახჩას“ (ს.ჯავახიძე, დას. ლიტ. 1941წ.) და ა.შ.

ხევანი - ხის რიგით მდგომის მნიშვნელობით გაშენებული ვაზის აღსანიშნავად იხმარებოდა. ხევანის, ხეივნის, ტალავარის მნიშვნელობით არსებობა უკვე მე-4-მე-5 საუკუნის ძველდროს არის დადასტურებული და ძველი ქართული მევენახეობის ტერმინად უნდა იქნას მიღებული. ხევანი - „ტალავარის“, „ტალავერის“ ანარეკლს წარმოადგენს. ქართულში „თალარი“ ვაზი, რომელიც მაღლარად არის დაყენებული, ხეივანივით არის გამართული. სულხან-საბა ორბელიანის ჩანაწერით „ხევანი გასაოცრად მიაგავს ბალის გზას, რომელიც სპარსულ ტერმინს ხეივანს ჰგავს“. ვიქტორი, ამ ტერმინს შარავის სახელად ხმარობენ“ (ივ.ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, 1986, გვ.324).

ვაზის საყრდენად სამცხე-ჯავახეთში გამოყენებული იყო ვაშლის, მსხლის, ჭანჭურის, შინდის, კომშის, ალვის, მუხის, იფნის, რცხილის და თუთის ხეები. პირველად ხეხილს აშენებდნენ, შემდეგ კი მიურგავდნენ ვაზს.

ვაზნარის განახლებას ახდენდნენ მთლიანი გადაწვევით, ნერგის გამოყვანისას კი ტრების (ერთლიანი, ორი და სამწლიანი) ჩანილე-

ნით. პროფ. პაატა გუგუშვილი დაასკვნის - „დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიის შესაბამისობის პირობებში ვაზის ვიშნა რაოდენობის მიხედვით შეეძლოს გვერდში ამოუდგეს საქართველოს“.

მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილი იყო მდინარე მტკვრის ხეობაში ტაშისკარიდან ვარძის ზემო ნაწილამდე და მდინარეების - გუჯარეთის, წინუბნის, ხომის, თისელის, ელაზის, ქვაბის-ხევის, ბულბულას, ოცხის, ურავლის, ოშორა-ოთის წყლების, ფარავისა და სხვათა ხეობებში (ტერასებზე და ვაკე ადგილებში).

ვაზის არსებობა დაზუსტებულია ახალციხის რაიონის 55 სოფელსა და ნასოფლარში, ადიგენის რაიონის 16 სოფელსა და ნასოფლარში, ასპინძის რაიონის 40-ზე მეტ სოფელსა და ნასოფლარში, ბორჯომის რაიონის 12 სოფელსა და ნასოფლარში.



სამცხე-ჯავახეთის დასახლებულ პუნქტებში და ნასოფლარებში ვაზის კულტურის უძველესი წარმომადგენელი ვაზის ვიშნის ეგზემპლარები კვლავ მოსაძებნი და შესასწავლია. ამისათვის საჭიროა გულმოდგინე და ხანგრძლივი მუშაობა. ვაზის სიყვარულმა უნდა შეგვაძლიეროს ამ მხარეში ქართული ვაზის და ღვინის დიდების აღდგენა.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სოფლების რაოდენობის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, რომ საქართველოში არ ფიქსირდება სოფელი, რომლის სახელი მევენახეობის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევდა, თუმცა, ბორჯომის ხეობის შესწავლის დროს, სერგი მაკალათიას ყურადღება მიიქცია ნასოფლარმა, რომელიც ვახუშტის ნაშრომში მოიხსენიება.

ვახუშტის ნაშრომში, სადგურის ხეობაში არსებულ სოფელთა შორის, მე-10 ნომრად დასახელებულია სოფელი „ყურძენი“. ვახუშტისეულ რუკაზე დასახელებულია „სარბიელას ხევი, რომელსაც ახლა აბანოს ხევის უწოდებენ. ამ აბანოს წყალზე არის ყურძნის ციხე და ნასოფლარი. ყურძნის ციხე მაღალ კლდეზეა აგებული, აღმოსავლეთ-სამხრეთით მას ჩამოუდის აბანოს წყალი. ციხე ნაგებია კლდის ქვით. ციხის შუა მოედანზე ჩაფლულია ოთხი დიდი ქვევრი. ციხე ძნელი მისადგომია, ციხეში მისასვლელი გზა უნდა ყოფილიყო ნასოფლარი ყურძენიდან, საითკენაც არის საცაღვეფს ბლიკი. ნასოფლარი ყურძენი და შორებულა ერთი კილომეტრით“ (ს.მაკალათია. „ბორჯომის ხეობა“, 1957წ, გვ.19-26).

ვაზის ვიშნების შესწავლის დროს ჩვენს ყურადღებას იქცევს ის მდგომარეობა, რომ არც ერთ კუთხეში ვიშნა შორის დასახლებული ყურძნის ვიში სახელწოდებით „სალვინე“ არაა.

ივ.ჯავახიშვილისთვის მინოდებულ ცნობაში, ჯავახეთიდან, პავლე ხუციშვილის მიერ ხიზაბავრის ტერასაზე გაშენებულ ვიშნებში დასახელებულია ვიში - „სალვინე“, რომელიც შეეყურძინა ვიშია. მესხ კონსტანტინე გვარამაძესთანაც სამცხეში გავრცელებულ ვიშნებს შორის „სალვინე“ არის დასახელებული. ვიში „სალვინე“ დასახელებულია პერსპექტიულ ვიშნა შორის პროფ.დიმიტრი ტაბიძის მიერაც.

შესწავლის შემდეგ დადგენილად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ და, კერძოდ, მესხური ვაზის ვიშნების შენარჩუნებაში მესხ გლეხკაცთან ერთად დიდი როლი ითამაშეს სამცხე-ჯავახეთის ერისთავებმა, ათაბაგებმა, აზნაურებმა, მონასტრების და სამღვდლოების მომსახურეთა დიდმა არმიამ.

სამცხე-ჯავახეთის ნიადაგები ვაზის გაშენების-

სურველია აბორიგენული ვიშნებით.

ვაზის მესხური ვიშნების გარდა დადგენილია და დადებითი შედეგების მომცემია ვაზის ქართული და ევროპული ვიშნები, რომლებიც მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევიან და სუფრის ღვინისა და შამპანურის საუკეთესო მასალას იძლევიან. ესენია: პინო შავი, პინო შარდონე, ალიგოტე, ჩინური, ხიხვი, გორული მწვანე, თავკვერი, შავკაპიტო.

ვაზის გასაშენებლად ნიადაგის პლანტაჟი სწარმოებს 50-60-70 სმ-ის სიღრმეზე. უფრო კარგად ვითარდება ვაზის ფესვები და ვაზის გახარების პროცენტი მაღალია 60-70 სმ სიღრმის პლანტაჟის დროს.

ხეივანდ, ვაზის გაშენების დროს, ვაზი უნდა გავაშენოთ ორმოს ან არხის წესით. ნაპლანტაჟარ ნაკვეთში ვაზის მწკრივად გაშენების დროს ვაზის ნამყენი ირგვება ორმოს წესით. ორმოს სიდიდე განისაზღვრება 50X70 სმ-ით.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა ნიქვაძე, ვაზის გაშენების საკითხის განხილვისას, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიას სამ ზონად ყოფდა. პირველი - ზღვის დონიდან 850-100 მეტრი, მეორე - 1000-1200 მეტრი, მესამე - 1200 და მეტი. ასევე გვიჩვენებს ვაზის გასაშენებლად ზონებს:

ახალციხის რაიონის პირველ ზონაში - პინო შავს, პინო თეთრს, ალიგოტეს, ჩინურს, გორულ მწვანეს, შავკაპიტოს თავკვერს, რქანი-თელს, ხიხვს; ადგილობრივი ვიშნებიდან - როკეთულას, სანურს, სამარიობოს, ბუდეშურს, ცხენის ძუძუს, საფარულას, ბუქანას.

ასპინძის რაიონისთვის: პინო შავს, პინო თეთრს, ალიგოტეს, ჩინურს, გორულ მწვანეს, რქანი-თელს, ხიხვს, ადგილობრივი ვიშნებიდან - ასპინძურ შავს, ცხენის ძუძუს შავს, ხარისთვალას, ბუქანას, თამარის ვაზს; ადიგენის რაიონისთვის - პინო შავს, პინო თეთრს, ალიგოტეს, ჩინურს, გორულ მწვანეს, ადიგობრივი ვიშნებიდან: სამარიობოს, ცხენის ძუძუს, თეთრს, ხარისთვალა თეთრს.

მეორე ზონისთვის გასაშენებლად რეკომენდებულია: ახალციხის რაიონში - პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, გორული მწვანე, ადიგობრივი ვიშნებიდან: სამარიობო, ბუდეშური, როკეთულა, ხარისთვალა თეთრი;

ასპინძის რაიონისთვის: პინო შავი, პინო თეთრი, ჩინური, გორული მწვანე, რქანი-თელი. ადგილობრივი ვიშნებიდან: ასპინძური შავი, სამარიობო, თამარის ვაზი; ადიგენის რაიონისთვის: პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური და გორული მწვანე, ადიგობრივი ვიშნებიდან - სამარიობო.

მესამე ზონისთვის გასაშენებლად რეკომენდებულია: ახალციხის რაიონისთვის - პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე. ადიგობრივი ვიშნებიდან: სამარიობო, ბუდეშური; ასპინძის რაიონისთვის: პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე. ადიგობრივი ვიშნებიდან: სამარიობო და ბუდეშური; ადიგენის რაიონისთვის: პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, სამარიობო და ბუდეშური.

მეორე და მესამე ზონაში, უმეტესად, უპირატესობა უნდა მიეცეს ცხენის ძუძუს (თეთრი და შავი), ხარისთვალას (თეთრი და შავი), ბუდეშურს (თეთრი და შავი), სანურს, სალვინეს, კლდის შავს, ლო-

ბეთის შავს, ასპინძურ შავს, ასევე სხვა მესხურ ვიშნებს, რომელნიც ადგილობრივ პირობებს შეგუებული არიან. არ უნდა დავივიწყოთ ყურძნის პროდუქტიულობა, მისი სასარგებლო თვისებები და ღვინის ქვევრში დაყენების წესი (უნდა ვიცოდეთ, რომ ღვინო ქვევრში კარგად ინახება).

მესხური ვაზის ვიშნების ღვინის ნიმუშების დეგუსტაცია 1959 წელს ჩატარდა საქართველოს მეზღვეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში და სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღო.

მესხეთის კლიმატური და ნიადაგური პირობები შუშხუნა ღვინის კარგ მასალას იძლევა, მისგან შეიძლება დამზადდეს უმაღლესი ხარისხის შამპანური ღვინოები, რომელნიც გაუტოლდება ცნობილ ღვინოებს.

მოვიყვანოთ მესხეთში დამზადებული ღვინოების აღწერას:

1.ღვინო ღია ჩალისფერი, მომწვანო იერით, გამჭვივრავად, კარგად განვითარებული, სასიამოვნო ბუკეტით, ხალისიანი, ჰარმონიული სხეულით. კარგი შამპანური მასალა ალიგოტეს ვიში;

2.ღვინო ღია ჩალისფერი, დაწმენილი, კარგად განვითარებული ვიშური ბუკეტით, ხალისიანი, საკმაოდ ჰარმონიული სხეულით (ვიში ჩინური);

3.ღვინო ღია ჩალისფერი, კარგად დაწმენილი, მომწვანო იერით, განვითარებული ვიშის ბუკეტით, ხალისიანი, არომატული (ვიში გორული მწვანე);

4.ღვინო ღია ჩალისფერი, დაწმენილი, ხალისიანი, მუყავიანობით, ნაზი, არომატული, შამპანური მასალა (ვიში ხიხვი);

5.ღვინო ვიშური არომატით, კარგად დაწმენილი, ნაზი, ჰარმონიული, ევროპული ტიპის ღვინო (ვიში საფარავი);

6.ღვინო საკმაოდ დაწმენილი, კარგად შეფერილი, საშუალო სხეულით, ჰარმონიული, ევროპული ტიპის ღვინო (ვიში შავკაპიტო).

საერთოდ, მესხური ღვინო ხასიათდება ვიშური არომატით. კარგად დაწმენილი, საკმაოდ ნაზი, ხალისიანი, ევროპული ტიპის ღვინო და კარგი შამპანური მასალაა.

მესხეთში დიდი ოდენობით რომ მზადდებოდა ყურძნის ღვინო, ნათლად დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით, საცხოვრებელი სახლების და სხვა ნაგებობების მშენებლობის დროს აღმოჩენილი დიდი ოდენობით მარნებით და ქვევრებით, ქვებისაგან გამოთლილი სანახევლებით. გაკვირვებას იწვევს ვარძის „სალხინოს“, ჭობის-ხევის, წნისის მარნები, ანკურის, გურკელის, საყუნეთის, რაბათის, ნოსტევის, უდის, ხეოთის, ლაშხევის, ასპინძის ქვევრები.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეთხორო მევენახეობის განვითარებისთვის სამცხე-ჯავახეთში მეოცე საუკუნეში ჩატარებული სამუშაოების ზოგიერთი პრაქტიკული შედეგები ვაზის აბორიგენული ვიშნების შესწავლისათვის, ექსპედიციური გამოკვლევების და გავრცელებისთვის წარმოებული მუშაობის შესახებ. აბორიგენული ვიშნების შემდგომი გავრცელებისთვის სამცხე-ჯავახეთში მრავლად არის ხეივნის წესით გავრცელებული ვენახები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი რაოდენობით მოგვცენ სარგებ მასალასთან ერთად სანამყენე მასალაც.

ნოდარ დუმბაძის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „ვაზია სამშობლო? აბა დააკვირდით, თუ დაბლარი მაღალია - ცაში ხელაპყრობილმა: ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არავფროს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს!“

კონსტანტინე გვირგვინი


დიდი ხანი ვფიქრობდი, დამეწერა ჩვენი წინაპრების ვინაობა და დღემდის ვერ ვბედავდი და ვფიქრობდი, უფრო ზუსტი ცნობები შემეგროვებინა, მაგრამ, რაც მამაჩემისაგან გაგონილი მქონდა, მას ბევრი ვერაფერი მივუმატე. ვფიქრობდი, ჩემი უფროსი ძმისაგან – გაბოსაგან და დისაგან – შუშანასაგან დამატებით გამეგორამე, მაგრამ, რაც გავიგე, დროზე ვერ ჩავინერე და ზეპირათ რაც ვიცოდი, მამიჩემისაგან გაგონილი, იგივე ჩამოჩა მესხიერებაში. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ყველა უდროოდ დაიხოცებოდა და მათთან ვეღარ ვილაპარაკებდი წარსულზე და ან მომავალზე. ესლა ვფიქრობ, პაპიჩემის ჩამომავლობიდან ჩემზე უფროსი აღარავინ არის და ჩემზე უნცროსებს ჩემზე მეტი არ ეცოდინებათ. მეორეც, ჩვენ, ქართველ ხალხს, არ აინტერესებს წერილობით გადასცეს თაობიდან თაობას გენიალოგია, თუ მწერალი არ არის და საზოგადო მოღვაწე. მე მწერალი კი არა, ოცდახუთი წელიწადი იქნება მოსაკითხი ბარათიც არ დამინერია, ხელიც გადაერჩია წერას, თვალის და გულიც ვინაიდან, ამ ხნის განმავლობაში, მუშაობა მიხდებოდა ფიზიკურად კანტორაში, ფანქრით, კალმით, აღარ მიმუშავია. რასაც შევძლებ, რაც გამიგონია, იმას ჩვენურ, შთამომავლობას ეცოდინება თავისი ნათესაობა. კოთელიდან ბერო (ცოლი ნამორაძე), იგივე პავლე მალრაძე (ბეროს პავლე რქმევია და ბერო მეორე სახელია (ბერო დაბერდით)), სასიყვარულო სახელი შეურქმევიათ და ამ სახელით ყოფილა ცნობილი), მის ჩამომავლობასაც დღესაც „ბერონათ“ ეძახიან. ბერო რომელ წელშია დაბადებული და სად, სინამდვილეში არ ვიცი. ბერო სოფ. ხიზაბავრაში მარხია, ქართული ეკლესიის გალავანში და თუ იმისი საფლავის ქვის წარწერა იტყვის რასმეს ბეროს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-19 -ე საუკუნის პირველ ნახევარში უცხოვრია. ამის დამადასტურებელია, რომ მისი შვილი – ვასილი დაბადებულია 1824 წ. მასზე უფროსები და უმცროსებიც ჰყავდა ბეროს, როგორც ვაჟიშვილები, ეგრეთვე ქალიშვილები. მათზე მერე ვილაპარაკებთ. გარდა ბეროსი, ამ ეკლესიის გალავანში მისი შვილებიც მარხია: პეტრე და სოლომონი. ეს ეკლესია პატარაობისას მინახავს, მთავარ ანგელოსის სახელს ატარებს და ეძახიან ბეროს ეკლესიას. მე მახსოვს, როცა საროში ვცხოვრობდით, ჩემი მამა, ბიძები – მთელი საგვარეულო, მიდიოდა სალოცავად, სამხითითი (8 სექტემბერს, ძველი სტილით). ამბობდნენ, ეს ჩვენი ეკლესია არისო. მაშინ მეგონა, ბეროს აშენებულია-მეთქი, თუმცა, ბეროს კარგად უცხოვრია, ფულიც ჰქონია, მაგრამ ერთი კომლი გლეხისათვის ძნელი იქნებოდა ეკლესიის აშენება, მართალია ეკლესია დიდი მოცულობისა არ არის, მაგრამ, მაინც, ვფიქრობ, ალბათ, ბერომ ძველი ეკლესია შეაკეთებინა. ესლა ვნანობ, თავის დროზე რატომ მამაჩემს არ ვკითხე ეკლესიის შესახებ, იმას ეცოდინებოდა, ბერომ ასშენა თუ შეაკეთა. ბეროს აშენებული სახლი ჩემი ბავშვობის დროს ისევე იყო ხიზაბავრაში, ახლა არ ვიცი, კიდევ იქნებია თუ არა. ბეროს ხიზაბავრაში უცხოვრია. ბეროს მამას რა რქმევია, არ ვიცი, სად დაბადებულია, არც ის ვიცი.

ბეროს მამიდა მღვდელს, ფაფერაშვილს ყოლია ცოლად, უცხოვრიათ ს. ხიზაბავრაში (მგონი ქვაბისხევიდან ყოფილან მოსულნი). ეს ხალხი უშვილონი ყოფილან და ბერო გაუზრდიათ შვილათ. ბერო უკვე ვაჟკაცი ყოფილა, მგონი ცოლ-შვილიანიც და ამ დროს მღვდელსა, ბეროს მამიდას, ვაჟიშვილი შესძენიათ და გრიგოლი დაურქმევიათ. მღვდელს უთქვამს ბეროსათვის: შვილო, შენ და გრიგოლი ძმები იქნებით. მე დიდხანს ვერ ვიცოცხლებ და ჩემი თხოვნა იქნება, ჩემსავით მღვდლათ აღზარდეთ. ბეროს ეს ანდერძი შეუსრულებია, თავისი ნაჰმევი მამიდაშვილი მღვდლათ აღუზრდია. მისი აღზრდა კი ძალიან გასჭირვებია. გრიგოლი ნებიერი და ძალზე ცელქი ყოფილა. მაშინდელ დროში დივნობა-მღვდლობას მღვდლები ასწავლიდნენ და ისიც კოთელიაში აღსაზრდელად მიუბარებიათ მღვდლისათვის (ნიკოლოზ მღვდელი ყოფილა იმ დროს), მაგრამ გრიგოლს ძალიან გაუნვალებია ბეროცა და მღვდელიც. კოთელიდან, თურმე, ჩქარ-ჩქარა გამორბოდა ხიზაბავრაში, არ მინდა სწავლაო და ბეროს კიდევ ანდერძის გატეხა ეძნელებოდა და ხეწნით და მუდარით ისევ მიჰყავდა

მღვდელთან. ბოლოს მაინც მღვდელი გამხდარა გრიგოლი. მამაჩემი, თურმე, ძალიან კარგათ იცნობდა, მამაჩემს რომ უქორწინია, ჯვარი მას დაუნერია. მამაჩემი იტყოდა ხოლმე, მე, მასთან ერთად ბევრჯერ მივლია ახალციხეში და სოფლებში საეკლესიო საქმეებზე. მე მამაჩემის მაგიერ დავყავდი, მამაჩემს, როგორც მოხუც დიაკონს, პატივს სცემდა, მის მაგიერ მე მივყავდი ხოლმე. ერთხელ,

ლოოდ მარტო ერთი კომლი იყო დარჩენილა, მგონი ლარიბაშვილი, მაშინ საროში მოსახლეობა მცირე ყოფილა, მინა ბლომათ და ბერო მოუნვევიათ მეზობლათ. ისიც დათანხმებია და საროში ჩამოსახლებულა. ბეროს საროში სიძე ჰყოლია – ბერიძე კიკოლა. იმასთან ახლოს დასახლებულა, ქვე უბანში. საროს სარწყავი წყალი არ ჰქონია მინდვრისათვის. ზედა ველას წყლით მარტო ხიზაბავრა სარგებლობდა.

მესხელი მალრაძის ბავარის წარმოშობა



(მირონ პავლეს ძე მალრაძის ჩანაწერები) (1899-1988 წლები)

მე და მამაჩემმა, ხიზაბავრის ბაღებთან გავიარეთ. არ მახსოვს, ახალციხეში მივყავდი სასწავლებლათ თუ ოთის ტყეში მივდიოდით პანტის მოსაკრეფად. ერთ ადგილას შეჩერდა, ბალისაკენ იბრუნა პირი და მითხრა: ეს ბაღი პაპიჩემის – ბეროსი ყოფილა, ისე დიდი ბაღია, ამ თავიდან რომ კაცმა დაიძახოს, იმ თავში კაცს ხმას ვერ გააგონებსო. ერთხელ მე და გრიგოლ მღვდელი მივდიოდით ახალციხიდან ცხენებით, – ამბობს მამაჩემი, ამ ბაღთან რომ მოვდივით, გრიგოლ მღვდელმა ცხენი გააჩერა, ბალისაკენ მიბრუნდა და ერთი მაგრათ ამოიხრა, სწორეთ ამ ადგილას... რა იყო, მამაო, რა დაგემართათ, – უთხარი მღვდელსო, – ეჰ, შვილო, რა მამული დაგემართათ, ეს ბაღი ჩვენი იყოო.

ხიზაბავრაში ბერო ვერ გაჩერებულა. ხიზაბავრა საბატონო ყოფილა, მეც მახსოვს, ერთ ადგილას პურის აუარებელ ზვინებს დგამდნენ და ამბობდნენ: ყველა გლეხს ბატონის წილი აქ მოაქვსო (იტყოდნენ ხოლმე). სარო არ იყო საბატონო, საროს მამულები სახელმწიფოს ეკუთვნოდა. რა თქმა უნდა, საროში გლეხისათვის უფრო იოლი იქნებოდა ცხოვრება და ამისათვის ხიზაბავრიდან გადმოსახლებულა საროში. ბატონი ხომ არ ვარგა, მაგრამ თვითონ ხალხიც ქართველი კათოლიკებია, რაღაც სხვა გვარი მოდგმის ხალხია, იმათთან ცხოვრება დღესაც სხვა ხალხს არ შეუძლია. ხიზაბავრაში, იმ დროს, ქართველი მართლმადიდებლები საკმაოდ ყოფილან, მაგრამ სულ გასცილან და საბო-

ბერო რომ ჩამოსულა, ზედა ველას წყალი გაუყვია ხიზაბავრელებისათვის და ერთი მესამედი (1/3) საროსათვის დაუმკვიდრებია. გასაკვირია, დაწერილი არსად არის და ეს ყველა საროველმაც იცის და ხიზაბავრელმაც, რომ ამ წყლით სარგებლობის უფლება აქეთ სარველებს 1/3 რაოდენობით, პირველი გაზაფხულადან, 12 ივნისამდე, ძველი სტილით. ესე იგი, მზის დაბრუნებიდან. 1963 წელს პაპაჩემის – ვასილის, ჩემი ძმის – გიორგის, დების – ანიკო და ნინოს საფლავების ქვებისთვის, სოფ. ვარევანში დაკვეთა უნდა მიმეცა და ჩვენმა სიძემ – ლავრენტი გიორგაძემ – პოლკოვნიკმა, იმ დროს საროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, გამიყლია ვარევანში. როცა ზედა ველას წყლის რუები უნდა შეეკეთებინათ, მათის თვე იყო, ორი დიდი სატვირთო მანქანა ხალხით იყო სავსე და ჩვენც მსუბუქი მანქანით ვარევანზე შევიარეთ. ორი სატვირთო მანქანა წავიდა, ჩვენ ხელოსანი მოვინახეთ, საფლავის ქვებს მოურიგდით და ჩვენც ზედა ველაზე წავედით. იმ დღეს, ხალხი რომ მუშაობდა, ორმოცამდე კაცი იყო, მეც იმათთან ვიყავი და ყველა მეუბნებოდა: „მირონ, ეს თქვენი წყალია, ბეროს წყალია“. აი ეს ამბავი თაობიდან თაობაზე გადადის. მე ბეროს მეოთხე თაობა ვარ და ავერ მეც მოვხუცდი. ბერო ხიზაბავრაში თავის ბატონსაც ეურჩებოდა. ბეროს კარგად უცხოვრია და ცხენიც კარგი ჰყოლია. ბატონს უთხოვნი ბეროსთვის ცხენი, მაგრამ ბეროს უარით გაუსტუმრებია – ჩემს ცხენზედ სხვა ვერ

შეჯდებო, – უთქვამს ბეროს ბატონისთვის. ამისთვის ბატონი ძალიან განწყენებულა და მათი ერთად ცხოვრება არა სსიაიმოვნო იქნებოდა. გრიგოლ მღვდელიც ბეროსთან ერთად საროში ჩამოსულა, ერთ ხანს ერთად უცხოვრიათ, მერე გაყრილან, გაყრაზე ჩხუბიც მოსვლიათ, ბეროს უფროსი შვილი, პეტრე, დიდი ყოფილა იმ დროს. გრიგოლს ორი ქვა აუღია, თითო ხელში დაუჭერია და უთქვამს: თითოს მოგვებით და გეყოფათო. რა თქმა უნდა, მერე ისევ კეთილი განწყობილება ჰქონიათ. გრიგოლ მღვდელს ვაჟიშვილი არ ჰყოლია, ქალიშვილები ჰყოლია, ახალციხეში, ერთი გოგო იყო თუ ორივე, არ ვიცი, ჩვენები ნათესაობდნენ. გრიგოლ მღვდლის სიძე ავიაძე ყოფილა გვარათ. ბერო მრავალ შვილიანი ყოფილა, ჰყოლია ოთხი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი:

ვაჟები: 1. პეტრე (საშა ძიას პაპა); 2. თედორე... 3. ბასილა (ვასილი – მირონას პაპა), 4. სოლომონი (ქალიშვილების სახელები არ ვიცი), არც უფროსი - უმცროსობა ვიცი მათი, მხოლოდ სად იყვნენ გათხოვილნი და რა გვარებს ჰყავდათ, გაგაცნობთ:

ქალიშვილები: 1. გათხოვილი ს.საროში – კიკოლა ბერიძეზე. 2. „-----“ ს.ზედათმოგვი – კაველიძეზე; 3. „-----“ ს.კოთელიაში – ჩუჩუნანანი (ქმარს სოლომონი რქმევია, შვილს კონსტანტინე, 4. „-----“ ს.კოთელიაში – (ფანჯაკიენი). შვილები ბასილა, ნინა. 5. „-----“ სახალ დაბა (ბლიაძეები), შვილი – სოლომონი;

ეს ქალიშვილები ჩემ ბიძაშვილმა – გიორგი პავლეს ძემ ჩამაწერინა. ამჟამად ცოცხალია და 93 წელს ითვლის (7 თებერვალი, 1969 წ.).

ბეროს ქალიშვილების, ზოგიერთის ჩამომავლობის, ცოტა რამ ვიცი და ბარემ ჩვენერთ:

ბეროს ქალიშვილი საროში კიკოლას რომ ჰყოლია, ერთი ვაჟი დარჩენია, როსტომი რქმევია, როსტომის შვილს სიმონა ერქვა, ადრე გარდაიცვალა, სიმონას შვილები: გრიმა საროში ცხოვრობს, პეტრე გარდაიცვალა, ოლა ბორჯომში ცხოვრობს, კიტა გიორგის ძე მალრაძეს ჰყავს. კიკოლას ერთი ქალიშვილი, ბეროს შვილისშვილი, ჩუნჩხაში ყოფილა გათხოვილი, მე იმათ ოჯახში ვყოფილვარ, ჩუნჩხაში 1914 წ. იმათი ორი ბიჭი, არსენა და ბაგრატი ჩემთან სწავლობდნენ ახალქალაქში და ერთ ბინაშიც ვცხოვრობდით.

ბეროს ქალიშვილი, რომელიც ზედათმოგვი ჰყავდა გათხოვილი, იმის შვილს – სოლომონს, ვიცნობდი. საროში რომ ვცხოვრობდით, ხშირათ მოდიოდა ხოლმე და ყველა ბიძაშვილებს დაივიწყებდა ხოლმე, ყველგან თითო დღეს მაინც დარჩებოდა ბიძაშვილებთან. სოლომონის შვილებიც მოდიოდნენ ხოლმე საროში: ბესო და იორდანე, იმათ მესამე ძმაც ჰყოლიათ – თედორე. მერე ბესო და თედორე მანგლისში გადასახლდნენ. 1936 წელში მე თავმჯდომარეობის კურსებზე ვიყავი მანგლისში და მათთან ხშირათ მივდიოდი. ბესო და თედორე გაუყრვლები იყვნენ. ძველ მანგლისში, ეკლესიის წინ ცხოვრობდნენ. საკუთარი სახლები იყიდეს, ზოგიც გაიშენეს. მერე გაყრილიყვნენ. თედო ოში წავიდა და აღარ დაბრუნებულა. შვილები დაზრდია, არ ვიცი, რამდენი ჰყავს. ბესოც ტრაგიკულად დაღუპულა – ბუღას ურქენია და მომკვდარა. ბესოს ერთი ვაჟიშვილი ჰყავს – დათიკო. კარგი, ჭკვიანი კაცია. ისიც მანგლისში ცხოვრობს. ბესოს გოგოც ჰყავდა, სახელი აღარ მახსოვს, მანგლისში გაათხოვეს. იორდანეც აღარ ყოფილა, მაგრამ ვინ დაჩრა ჩამომავალი, არ ვიცი. ბეროს ქალიშვილი კოთელიაში (ჩუჩუნანანი) ელიზბარაშვილი, მისი შვილი კოსტანა, შვილიშვილი იროდიონი. ბეროს უფროსი ვაჟიშვილი პეტრე ყოფილა, არ ვიცი, რომელ წელში დაბადებულია და როდის გარდაცვლილა, მხოლოდ ვიცი დასაფლავებულია ხიზაბავრის ეკლესიის გალავანში. პეტრეს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი:

ქალიშვილი – მელანა; პავლე – დაბადებულია 1849 წ. გარდაცვლილა 1915 წ.

ივანე – დაბადებულია





1853 წ. გარდაცვლილა – 1908 წ.

სვიმონი – დაბადებულია 1862 წ. გარდაცვლილა – 1922 წ.

ანდრია – დაბადებულია 1873 წ. გარდაცვლილა – 1937 წ.

პეტრეს ქალიშვილი, მელანა, მე არ მახსოვს. როგორც გიორგი მალრადემ მითხრა, ის ხიზაბავრიდანვე გაუთხოვებითა ერკობაში, მას ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა; ბასილა, ალექსი, ევგენი და თომა.

მინდა ბეროს წინაპრების შესახებ ცოტა უკან დაუბრუნდეთ.

ბეროს წინაპრები სადაურები ყოფილან და საქართველოს რომელ კუთხეში უცხოვრიათ, ბეროსა და მის შვილებსაგან ნათქვამი არავის გადმოუციათ, თუ სადაური იყო ბეროს წინაპრები. მე, როცა მამაჩემს ვკითხე ამის შესახებ, მითხრა;

– შვილო, ჩვენთან იყვნენ მოსულნი იმერეთიდან ოთხი კაცი. ყველა მალრადები იყო და აზნაურობის სიგელს ან რაიმე საბუთს ეძებდნენ, რომ აზნაურებათ აღედგინათ წოდებაო. ეს ამბავი დაახლოებით მე -19 საუკუნის მიწურულს, ან მეოცე საუკუნის დასაწყისში ყოფილა. იმ კაცებს უთქვამთ: „ეს საბუთი ჩვენთან არავისთან არ აღმოჩნდაო და ჩვენგან განაყარი აქეთ არისო წამოსული, ეს თქვენა ხართო, ვიცით, გადმოცემითაო და თუ თქვენთან, რამე საბუთი ინახება, ეს თქვენც გარგებთ და ჩვენცაო“. მამაჩემმა თქვა მეც სიგელი სწორეთ ჩვენთან ინახებოდაო. მეც ვიცო, ოქროს ასოებით იყო ნაწერი და ჩემ დედინაცვალს, როგორც წერა-კითხვის უცოდინარს, ის საბუთი სხვა ქალაქებთან ერთად დაენვაო, ქათმის გასატრუსად მოეხმარებინაო. რა ვიცი, რამდენად მართალია, ის ქალაქი, სწორედ აზნაურობის სიგელი იქნებოდა და არა სხვა რამე. მამაჩემი კი, რომ გითხრათ, წერა-კითხვის მცოდნე იყო, დაწყებითი სკოლა ჰქონია დამთავრებული. ჩემი და შუშანი იტყოდა ხოლმე, ის ჩემი და ჩემზე ექვსი წლით იყო უფროსი. მეც მახსოვს, მინახავსო ის ქალაქი. მე მამაჩემს უთხარი, – რა უპასუხეთ- მეთქი, იმერლებს, – იყო და ბებერს დაუწვიაო ის საბუთი?

– არა, შვილო, სირცხვილით როგორ ვიტყვითო. უთხარით, რომა, არაფერი არ ყოფილა. გვითხრეს, რომ, ასე თუ ისე, იცოდეთო, რომ თქვენ ჩვენი განაყრები ხართ და ნათესავებიო. რამდენიმე დღეს დარჩნენ ჩვენთან სტუმრათ და წავიდნენო. ეს ვიცი მარტო, სხვა არაფერიო. მე, ამ სტერიონების ავტორი, მირონ მალრადე პავლეს ძე, 1931 წელს, ზაფხულში, არდადეგების დროს, თეთრწყაროში მასწავლებლობის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ერთ თვიან კურსებზე ვიყავი. ერთხელ, სასაბუღალტროში, ვილაქამ ჩემი გვარით მომმართა. მალრადეო და ეს სიტყვა იქ ახლო მდგომმა ახალგაზრდა კაცმა, რომ გაიგონა, დამიწყო გამოკითხვა: მალრადე საიდან ხარო. სოფელი მენკალისიდან-მეთქი, მანდ საიდან ხართო მოსული? ს. საროდან-მეთქი. საროში საიდან ხართ მოსულიო. მე ხიზაბავრა აღარ ვახსენე, იმიტომ, რომ ისიც იქვეა, საროსთან და პირდაპირ იმერეთიდან ვართ- მეთქი მოსული. რომელი სოფლიდან ხართ მოსულიო? არ ვიცი, მარელისიდან თუ ლელვანიდან-მეთქი. იმან მითხრა, მარელისიდან არა, ლელვანელები ხართ და ჩემი სახლის კაცები ხართო. მე, ლელვანიდან ვარ, მალრადე, სახელად მიხა მქვიაო. მერე ჩამომითვალა ჩემი პაპების სახელები: პეტრე, ბასილა, სოლომონი ხომ გყავდათო, კი- მეთქი, გვეყოლიაო. შენ რა იცი-მეთქი? მე ბიბა მყავს, ამჟამად ოთხმოცდაათი წლისა არის, სოლომონი ჰქვია, ის ლაპარაკობს ხოლმე. საროში ნამყოფია, თქვენთან, ისიც და, კიდევ, სხვებიც. ოთხნი ყოფილან თქვენთან სანახავადო. მე უთხარი, შაბათ

სახლში მივდივარ, წამომყე, მამაჩემთან ილაპარაკე, იმასაც რამე ეცოდინება და ისიც შენ გეტყვის და ძალიან გაიხარებს-მეთქი. იმ დღეებში, მანამ შაბათი მოვიდოდა, ყოველ დღეს ვხვდებოდით და ვლაპარაკობდით. მე მუშუაკში ვსწავლობდი და მივლინებული ვარ ბედენზე, საბჭოთა მეურნეობაში, სილოსის ორმოები უნდა გავაკეთოთ და ველოდები აქედან, როდის გავგაზავნინან ბედენზეო. მეც მინდოდა შაბათამდე არ გავგზავნათ, რომ შინ წამყვანა. დადგა შაბათიც- დამთავრდა ჩვენი მეცადინეობა. დასაძინებელი ზევით, ყაზარმებში გვექონდა და სასადილო ქვევით, კლუბთან. ჩავედით სასადილოში. ვისადილე, მიხაც ყოველთვის იქ მხვდებოდა ხოლმე. იმ დღითაც დამელოდა, გამეხარდა, ნავიყვანე და ერთ ადგილას გავაჩერე, აქ მომიცადა-მეთქი. ავირბენ, პატარა ხურჯინი მაქვს, იმას ავიღებ-მეთქი, მოვალ და წავიდეთ სახლში. ავირბინე, ხურჯინი ავიღე, ჩამოვედი იმ ადგილას, სადაც მიხა დავტოვე, უყურებ და კაცი არ არის, ვიდექი და ვათვალაიერებდი, იქნებ საიდანმე მოვიდეს. ვნახოთ, სატვირთო მანქანამ გამოიბინა, ძარაში მიხა იდგა, ხელში ბარათი ეჭირა, გადმომცა და თან მომამახა: თბილისში მივდივარო. ბარათი იგივე ეწერა, – გამოგვიძახებს, თბილისში დავბრუნდეთო. რაღა იქნებოდა, წავედი დაღონებული სახლისაკენ. მამაჩემს რომ ვუამბე, – ნეტავი კი, როგორმე მოგვეყვანა ეგ ბიჭიო, – ინატრა ძალიან. მიხას მისამართი ჩემ ძმას, პეტრეს მივეცი. ერთ დროს პეტრე თბილისში სწავლობდა. თურმე,



ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ძალიან დამპობილდნენ, თითქმის ერთი წნისანი იყვნენ. მერე, მიხა მხოლოდ 1938 წელს ვნახე. გავეგო, რომ თბილისში ჩამოვედი საცხოვრებლად და მოვიდა სანახავად. სახლისა მარტო კედლები მქონდა გაკეთებული. ვაჩვენე. ჩემი ბიჭი, გიორგი მყავდა მარტო ჩემთან, ის მშველოდა სახლის მშენებლობას (16 წლისა იყო მაშინ). გავაქციე მაღაზიაში, სასმელი და შესატანებელი მოიტანე-მეთქი. მაშინ მაღაზიაც შორს იყო. ქვევით უნდა ჩავსულიყავით. მიხაი გაჯავრდა, რა დროს გამასპინძლებია, ოჯახობა აქ არ გყავს, კაცი მინდორზე ცხოვრობ და როგორ შეიძლება ასეთი ამბავიო, ჩემთან ჩამოდი და იქ ვილაპარაკოთო. არ გაჩერდა, მანამ ბიჭი რასმე მოიტანდა, წავიდა. მას შემდეგ ველოდებოდით ხოლმე ერთმანეთს, ხან ჩემთან, ხან მასთან. ერთხელ, 1940 წლის ნოემბრის დამდეგს, მოვიდა ჩემთან და თავისი ძმა შალიკო მოიყვანა. მეც ჩემი ძმები დაუძახე, გავაცანიე ერთი მეორე, ვივანხმეთ, ვიმხიარულეთ, მაინც სამხიარულო წელი ილა იყო თურმე, რა ვიცოდი მაშინ. მერე მიხას ძმამ – შალვამ გავვიპატიჟა ლელვანში, – 7 ნოემბერს ჩემი სტუმრები იქნებით, ჩემი ძმა, მიხაც და თქვენცაო. მე და ჩემ ძმამ, პეტრემ, პირობა მივეცი, მოვალთო. დანიშნულ დღეს, მგონი, 6 ნოემბერს, მე და მიხა დიდუბის სადგურში შევხ-

ვდით, პეტრე არ მოვიდა მორიგეობა დაევალებათ, არ გამოეშვათ. მიხა რკინიგზელი იყო, უფასო ბილეთი ჰქონდა, მე უბილეთოდ დავვუქე მატარებელში. მიხამ მითხრა, ჯარიმაც იმდენი იქნება, რამდენიც ბილეთი ელირებაო. მართლაც, ისე მოხდა. მივედით მარელისის სადგურზე. იქიდან ავედით ფეხით ლელვანში. შორს არ მეჩვენა, მგონი, სამი-ოთხი კილომეტრი იყო. მივედით სოფლის ნაპირას და ერთი მიხას ბიძაშვილი, ნადიკენარი, მგონი, სპირიდონი ერქვა, ურმით ტყეში მიდიოდა შემაზე, მოაბრუნა ურემი უკან. მიხამ უთხრა: რათ აბრუნებო: „მაშა, სტუმრები მოხვედითო და სადღა წამესვლელბაო“. მიხამ უთხრა: „ნადი, შენს საქმეს მიხედეო და იქაც სამი-ყოფნი დაგვეხვდებიანო“. წავედით. მიხამ თავისი ვენახი მაჩვენა, მერე გავიარეთ, ერთი პატარა ფიცრული ქობისავით სახლი იყო. სახლი გავყიდე, სახლის მაგიერ ეს არის, თუ დამჭირდა, გავაკეთებ, თუ არა და სახლად ესეც კმარაო, როგორც სახლიო. შიგ კომპები ეყარა და კიდევ რაღაცებიც. იქიდან რომ გამოვედით, მიხას ძმის და ბიძაშვილების სახლები გამოჩნდა, შვიდი-რვა ახალგაზრდა კაცი იდგა და, თურმე, ჩვენს მისვლას ელოდნენ. გამოვჩნდით თუ არა, აგერ მოვიდნენო, მაგრამ, ორნი არიან, მესამე არა სჩანსო. ერთმა თქვა, მეორემ თქვა, ჩვენც უკვე გვესმოდა, წამდვილი მალრადე გვ იქნებო, რომელიც მოვიდაო. ჩვენც მივედით, მაგრამ, სახლამდე არ მიგვიშვეს, სადაც ქვევრები ჰქონდათ მინაში ჩაყრილი, იქ შეგვაჩერეს, ყველა

ჩემთვისა ძალიან ბევრი დაეღვივნებიათ და იმ ღამეს, თურმე, ძალიან შემანუხა და შემინებოდათ კიდევ. იცოდნენ, რომ ძალიან ბევრი მქონდა დალეული. მეც ვფიქრობდი, ისე ბევრი ღვინო ერთდროულად არასდროს არ დამიღვია. ესლა ყველა ჩვენთაგანს, რომ ჰკითხამენ, წარმოშობით საიდან ხართო. ყველას ამას ვეუბნებით – ხარაგაულის რაიონიდანო. პავლე პეტრეს ძე მალრადე, ცოლს სოფიო ერქვა. ვაჟიშვილები: 1. გიორგი – დაბადებულია 1876 წელს, ცოცხალი აღარაა. 2. სერგო – როდისაა დაბადებული, არ ვიცი, პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. ქალიშვილები: 1. შუშანი – გარდაიცვალა გასული საუკუნის 60-იან წლებში. 2. ანიკო – გარდაიცვალა 1967 წელს. 3. მარიამი (მაიკო) – 1888 - 1910 წ.წ. ივანე პეტრეს ძე (ცოლს ერქვა ელენე. ს.ჭობარეთიდან). შვილები: ნინო – დაბადების წელი უცნობია, გარდ.1912 წ. სალომე – დაბადების წელი უცნობია, გარდ.1930-იან წლებში. ელისაბედი – 1894 - 1966წ.წ. სვიმონ პეტრეს ძე (ცოლს ერქვა სოფიო). შვილები: 1. ალექსანდრე (დაბ.1897 წ.). 2. ანიკო – (დაბად. 1900 წ.). 3. ელენე (დაბად. 1900-იანი წლები). 4. ანდრია პეტრეს ძე მალრადე (ცოლს ეფემია ერქვა, ს. ანდრიაწმინდიდან) შვილები: 1. ექვთიმე (დაბად. 1897 წ.). 2. ოლა – (დაბად. 1900 წ.). 3. ანასტასია (ტასო), დაბად. 1902წ. 4. მარიამი ... 5. თამარი 6. სალომე ივანეს ასული – გათხოვილი იყო ვ. მურმანიშვილზე. შვილები: 1. თამარი 2. მარგო 3. ნინო 4. დარეჯანი 5. ქეთევანი. ელისაბედი (ლიზა), გათხოვილი იყო ე. იაძეზე შვილები: 1 მიხეილი (ომიდან არ დაბრუნებულა). 2 გიორგი 3. ნინა ბეროს მეორე ვაჟიშვილი თედორე ყოფილა, მას უცხოვრია სოფ. ყვიბისში, უმსახურია დიაკვნად. ვაჟები: 1. ალექსი - 1852-1937 წ.წ. 2. ლევანი ... 3. ტარასი ... 4. ესტატე ... ქალიშვილიც ჰყოლია, სახელი არ ვიცი, ლიკანში ყოფილა გათხოვილი მ. გელაძეზე. ალექსი თედორეს-ძე მალრადის ვაჟიშვილი: 1. გიორგი – დაბად. 1897 წ. გარდ. 1924 წ. ქალიშვილიც ჰყოლია. ლევანი თედორეს ძე მალრადე ვაჟიშვილი ილია ჭ... რასი თევდორეს ძე მალრადე შვილები: 1. ნიკოლოზი – ბეროს მე-3 ვაჟიშვილი ბასილა (ვასილი) ბასილა დიაკვანი პაპაჩემია და რა თქმა უნდა მასზე უფრო ბევრი გამოგონია მამაჩემისაგან, ვიდრე მეორე პაპებზე (პაპაჩემის ძმებზე). პაპაჩემი დიაკვანი ყოფილა და ბასილ დიაკვანს ეძახდა ხალხი. მის შვილებს და ჩვენც, შვილი შვილებს დიაკვნინათ გვეძახიან. წინათ ქართველს ბასილას უძახდნენ, ვასილი, როგორც ეტყობა, რუსულადან თანდათან დამკვიდრდა ვასილი - ვასო. პაპაჩემის საფლავის ქვაზე ვასილია ამოჭრილი.

გავტყუებოდა იქნება. სტილი დაცულია

ახალი გამოცემები

დიდი შანაქანი

ახლახან სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ან გარდაცვლილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ზედგინიძის წიგნის „ჯავახური ლექსიკონის“, წარდგენა.

სიტყვაში გამოვიდნენ უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ბერიძე, პროფესორ-მასწავლებლები: თინა ივლაშვილი, ნათელა ბერიძე, მაკა კაჭკაჭაშვილი, მწერლის ვაჟი ვლადიმერ ზედგინიძე და რევაზ ანდლუაძე.

ასევე წიგნის წარდგენა შედგა ქ.ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც, სადაც სიტყვაში გამოვიდნენ ქალაქის მერი გიორგი კობაძე, პენსიონერი პედაგოგი - გ.ზედგინიძის თანასოფელი ვახტანგ მელიქიძე, პუბლიცისტი ვაჟა სამსონიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერი ციური ლაფაჩი, შალვა ტაბატაძე, წელი ლონდაძე, სახალხო მითქმელები ვასილ კვინცხაძე, ზაქარია ზედგინიძე, ქ.ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი მარინა გოგოლაძე, ახალგაზრდა პოეტი გივი ნემსაძე.

ანსაბლ „მესხეთი“-ის მიერ (ხელმძღვანელი ზაზა თამარაშვილი) შესრულებული იქნა მესხური ხალხური სიმღერები.

სალამო მიჰყავდათ ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ლილი აჩელაშვილს, მარინა ბერიძეს და ნაირა გოგოლაძეს.

საკ.ნფ.

ზღაპარი ფაქტებისა და ფეხებისა

იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი, წვრილწილი იყვნენ და ხშირად შიმშილობდნენ.

ერთხელ ცოლმა უთხრა: - ამ სახში ჯდომით თავი წუ დაიბო, ნადი და ლუკმა-პური უშოვე შენ შვილებსო.

რალას იზამდა კაცი. წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ სახლს დაბურულ ტყეში. დაუძახა სახლის პატრონს და სთხოვა, ღამე გაეთენებინა.

სახლის პატრონმა ქალმა უარი უთხრა: - ჩემი შვილები მოვლენ და შეგჭამენო, მაგრამ მერე დასტოვა და თან დაარიგა: როგორც კი დაინახავ, აქეთკენ მომავალ დევებს, მიეგებე და უთხარო:

- გაუმარჯოს ცხრა დეეს და მეთუ მამასაო. კაცი ეგრეც მოიქცა. დევებმა კარგათ მიიღეს. კაცმა უთხრა:

- შშია, საქმეში მაჭამეთო.

დევების მამამ უთხრა: - ნანადირევი ჩვენ ტყეში დაუტოვეთ ჩემ ძმას და სახში არაფერი მოგვიტანიაო.

ადგა, კედლიდან ჩამოსხსნა გუდა და უთხრა ჩურჩულით რაღაცა. თვალის დახამხამებაზე, ისეთი სუფრა გაიშალა, რო, რა გინდა სულო და გულო, ისე იქ იყო ყველაფერი.

კაცი კარგად რო დაბურდა, მაშინლა გაახსენდა, რო სახში მშვიდი ცოლ-შვილი ელოდებოდა. კაცმა იფიქრა: „მოდი, ამ გუდას მოვიპარავ და ამოვალ ამ სიღარიბიდანო“.

დაწვინდა დასაძინებლად. ყველამ ძილს მისცა თავი, მაგრამ ამ კაცს თვალზე რული არ ეკარება, ან რა დააძინებს, თვალნი თავისი მშვიდი ცოლ-შვილი უდგა და თან იმაზე ფიქრობს, როგორ მოიპაროს ეს გუდა.

რო დაატყო, რო მასპინძლებს ეძინათ, ნამოინა კაცმა გუდასკენ. უცებ ჯამ-ჭურჭელმა ჩხაკუნით ატყდა და თან გაიძახოდა: სტუმარს გუდას მოპარვა უნდაო.

ნამოცვივდნენ დევები, ნახეს, რო კაცს სძინავს. გაბრაზდნენ ჯამ-ჭურჭელზე და დაამტვრიეს. ისევ დანვინდნენ და დაიძინეს. კაცმა ისევ დააპირა გუდას მოპარვა. ახლა ნამტვრევებმა დაიწყეს ჩხარუნა. ისევ გაიღვიძეს დევებმა, გაბრაზდნენ, რო მძინარე ნახეს სტუმარი და სახლიდან შორს გადაყარეს ჭურჭლის ნამტვრევები. დანვინდნენ და დაიძინეს. ადგა ეს კაცი, მოიპარა გუდა და თავისი გზით წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ კაცს შეხვდა. მიდინა გზაზე და ლაპარაკობენ თავისთვის ცხოვრებაზე. ახალმა გაცნობილმა უთხრა:

- მე ისეთი ხმალი მაქ, ვისაც გინდა, თავს მოაჭრევიან და ისევ თავის ქარქაშს დაბურუნდებაო. ღარიბმა კაცმა თავის გუდაზე უთხრა:

- ისეთი გუდა მაქ, რო ეტყვი, ისეთ საქმელ-სამელს გაგიშლის, რა გინდა, სულო და გულოო.

მეორეთა ერთმანეთის საქონელი და გაცვალეს.

ცოტა რო გაიარეს გზა, ერთმანეთს დაშორდნენ. ღარიბმა კაცმა უბრძანა ხმალს:

- ნადი, იმ კაცს თავი მოაჭერი და ჩემი გუდა უკან მომიტანეო.

ხმალმა იმ წუთში შეასრულა თავისი პატრონის დავალება და ღარიბ კაცს გუდასთან ერთად ხმალიც მიუტანა.

მიდის კაცი გახარებული თავის სახში. გუდა აქვს, რომლითაც საქმელ-სამელი არ გამოეღვევა და ხმალით კი თავის მტრებს დახოცავს.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატიო იქა, ფეკლიო აქა.

მთქმელი მსპარ ზარიძე, 78 წლის, ახალციხის რაიონი, სოფელი თოკი. ჩაინერა თაქმურაჲ შურდომისანიძემ 1965 წელს

გამოსახები

* აქედან სერი, იქიდან სერი, შიგ ლომი გორავსო. (გობი)

მთქმელი მძრო ივანიძე, ზველი, 44 წლის

* შვიდი ფიცარი, შვიდად შეკრული, ურჯულს მეტი ვერავინ გახსნის. (დიდმარხვა)

* თორმეტი წყარო გამოდის, თორმეტსეუ თითო ჰყავს პატრონი. (ლორი და გოჭები)

* ოთხი წყარო ჩამოდის, ერთი ჰყავს პატრონი, მაგრამ სინამდვილეში ბევრია მისი პატრონი. (ძროხის ძუძუები)

მთქმელი ძირილე ზედგინიძე, 35 წლის

* მალალი მთის თოვლი ვარ, მზის ნინამე არ დავდნები, მამაჩემის შვილი ვარ, დედაჩემის ქმარი ვარ. (კვერცი)

* სანამ მამა დაიბადა, შვილი სტამბოლ ჩავიდა. (კვამლი)

* მიდის მოდის გაბრიელი, არავინ ყავს მაღლიერი. (კარები)

მთქმელი ელენე ზარიძე, 62 წლის, სოფ. თოკი

* ის რა არის, რომ ორმოც დღემდე არც ხელი აქვს, არცა ფეხი, ორმოცი დღის მერე სულიც აქ და ფეხიც. (ბაყაყი)

* თითონ ხისა, თავი ქვისა, ბალახ ძოვს და ნაცარ ყრისა. (ჩიბუხი)

* წითელი ხარის ნაძოვზე ბალახი არ ამოდისო. (ტყვია)

* ერთი სტუმარი მენვია მისდღემში უსტუმრებელი, ისეთი სადილი მივართვი, სუფრაზე დაუდებელი. (ხბო)

მთქმელი ნინო ზარიძე, 52 წლის, სოფელი თოკი

* ორბი, ორბი ორასი, ფრთა გაშალა სამასი, ნისკარტი გერა სამასი, კლდე გააპო ხუთასი. (გუთანი და ცხენი)

მთქმელი ზაქარია ლეკიშვილი, სოფ. თოკი, ასპინძის, ჩაინერა ამირან მომართიელმა, 1965 წელს თსუფა

სამა ბიჭის აშკაუ

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საქორწინო ვაჟი, ეძლეოდა სამი ლამაზი ქალი. ერთი იყო ქმარგანაყარი, მეორე - ქერივი და მესამე, კიდევ, იყო გასათხოვარი ქალიშვილი. იფიქრა, იფიქრა, ბოლოს თქვა: მოდი, წავალ და ღვდელს ვეტყვი, რომელი ქალი ვითხოვო, ყველანი ერთმანეთზე უკეთესები არიანო.

იარა, იარა და შემოხვდა მგელი. კბილი მტკივალ და ჩემი ამბავიც გამოიგო.

- კარგო, - თქვა ბიჭმა.

მიდის გზაში და ახლა შეხვდა ერთი ირემი. ცაზე ჰქონდა რქები მიბჯნული.

- სამეფო არა მაქვს და რა ვქნა, არ ვიციო. და ჰკითხა ბიჭს: სად მიდიხარო?

ვაჟმა უთხრა, სადაც მიდიდა.

- ჩემი ამბავიც გამოიგო, - უთხრა ირემმა.

- კი, ბატონო და გზა განაგრძო.

მიდის გზაში და შეხვდა გუთანში შებმული ხარ-კამეჩი. გუთანს იქით ერთია შებმული, გუთანს აქეთ - მეორე. გუთანი ერთ ადგილზე დგას და არც იქით მიდის და არც აქეთ.

- კაცო, რას სჩადიხარ, აუშვი და გუთანი ამოძრავდებაო.

- ეს შენი საქმე არ არის, ხაზინს ასე ჭირდებაო. და ბიჭმაც გზა განაგრძო. მიდის და შეხვდა ნისქელი. ნისქელი შეხვდა და, ეს საფეხავი რომ ჩამოდის, კრიჭამი ჩადის, იფქება და საფეხილე არ არის და ფეხილი პირდაპირ წყალში მიდის.

- რას ჩადიხარო! - უთხრა კაცმა. ასე რატომ ავერანებო?

- ნადი, ბიძია, შენს საქმეს მიხედე, ჩვენ ჩვენი ვიცითო. ჩვენს უფროსს ასე სჭირდებაო.

ბევრი იარა ბიჭმა თუ ცოტა, ერთ ალაგას მივიდა და ერთი მშვენიერი ყანაა, ზღვასავით ღელავს, ოქროს თავთავი აქვს დასხმული. რო შეხედო, თვალს არ დაუჯერებ. მივიდა და ნახა, რომ თიბვის დროა და მისმა პატრონმა უთხრა: აი, ხომ ხედავ, კარგი ხორბალია, მაგრამ, მკას რომ დაიწყებ, უცბად ცეცხლი უჩნდება და სულ იწვებაო. ჩვენ კი შიმშილით ვიხოცებითო. გაგვიგე ეს ამბავი, რაშია საქმეო.

- კი ბატონო, - თქვა ბიჭმა.

ბოლოს მივიდა მღვდელთან საკითხავად. მღვდელმა უთხრა: დაბლა ჩემი ბავშვია და იმას ჰკითხო. ბავშვსაც ჰკითხა: ასეა ჩემი საქმეო.

ბავშვმა უთხრა: შე კაი კაცო, თუ ქერივს ითხოვ, სამნი იქნებითო, ქმარგაშეშულს ითხოვ - მაგარი ვაჟაკობა გჭირდებაო, თუ გასათხოვარს ითხოვ, ეგ ყველაზე ნადი იქნებაო.

ვაჟმა ვერ გაიგო - სამი როგორ ვიქნებითო და ახლა მღვდელთან მივიდა და მას შეეკითხა - ვერ გაგიგე და ამხსენიო.

მღვდელმა უთხრა: აი შენ, შვილო, თუ ქერივს ითხოვ, ის, ყოფილი ქმარი და შენ სამნი იქნებით. ის თავის ქმარს არ დაიწყებს და ასე მაინც სამნი იქნებით. თუ განათხოვარს ითხოვ, ქმარგანაცილებს, მაშინ მაგარი ვაჟაკობა გჭირდება, მას უნდა აჯობო, თორემ შენც გაგიჭირდებაო. თუ გასათხოვარს ითხოვ, ის უკვე შენი საკუთრება იქნებაო.

ახლა კი, ბატონო, ყველაფერი გაგიგო და უთხრა: ახლა ერთი გამაგებინე, მგელი შეხვდა, კბილი სტკიოდა და რა ეშველება მგელსაო?

საჭრფოს სიყვარული

- ქალი ვარ გასათხოვარი
- მოუფლი მუდამ თავსაო,
- კარგი ვაჟაკი თუ შეხვდა,
- მას მე ჩაფუკრამ თვალსაო.
- ის კი მიხვდება ჩემ აზრსა,
- მას შევავყვარებ თავსაო,
- ის ქმარი ხდება, მე ცოლი,
- ერთად დავინერთ ჯვარსაო.
- კეთილი გრძნობით ვიშრომებთ,
- მოვიყვანთ მოსავალსაო,
- ურთიერთ სიყვარულითა,
- ვიყოლებთ მომავალსაო.
- მათი აღზრდითა ვახარებთ,
- მშვიდ-კეთილ ცხოვრებასაო,
- ალალ მარჯვენით ვიშრომებთ,
- შევიძენთ ქონებასაო,
- ჩვენ წავალთ, შვილი დარჩება,
- შეგვივლის ცხოვრებასაო,
- მშვიდად იხაროს, იცოცხლოს,
- დავლოცავთ მომავალსაო.

ადიგენის რაიონის სოფელ უდემი 79 წლის პავლე ნალდაძისებან ჩაინერა ტარიელ ნალდაძემ 2005 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

გამომცემი: ლიტერატურული მესხეთის სახელმწიფო გამომცემლობა. მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა, მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს რაიონის სახელმწიფო გამომცემლობა.

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შექმნა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე - ალ. პუშკინის ქ. №5-ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში - „საქპრესის“ ფიხურებში